ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5. კონტორის ტელეფ. 15—73.

წელიწადი მეექვსე | სამშაბათი, მარტი 9 1920 წ. № 52 | ფასი 5 მან.

ქვრივი მაკო ბახვას ასული და რძალი ელისაბედ მამანტის ასული შვილებით ღრმა მწუხარენი გულწრფელ მადლობას სწირავენ იმ პირთ რომელთაც პირადის დასწრებით თუ დეპეშის სახით გაიზიარეს მათი მწუხარება

ბესარიონ ლუკას ძე ხოშტარიას

გარდაცვალების გამო

2941 1—1

---

9 მარტს დილის 10 ს., დანიშნულია წლის წირვა ანჩისხატის ტაძარში და 3 ნაშვიდი კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის, ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტის

ეფრემ დავითის ძის სართანიძისა,

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე სუზანიკო ივანეს ასული, მშობლები მღვდელი დავითი და მარიამ ზაქარიას ასული სართანიძენი, დები: ალექსანდრა დავითის ასული მართაშვილისა, ნადეჟდა დავითის ასული ბერიძისა შვილებით, და ელისო დავითის ასული ხოსიტაშვილისა მეუღლით ვასოთი. 2943 1—1

გიორგი ივანეს ძე და თინათინ ლუარსაბის ასული ფალავანდიშვილნი, ნიკოლოზ ივანეს ძე თამარა ოტიას ასული ფალავანდიშვილნი, ოლღა ივანეს ასული და ალექსანდრე სიმონის ძე კობიაშვილნი თამარა სარდიონის ასული და გრიგოლ გიორგის ძე ამილახვარნი შვილებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთა საყვარელ მამის და პაპის

ივანე გიორგის ძის ფალავანდიშვილის

გარდაცვალებას 3 ნაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზე, სახლში, ფომინის ქუჩა, № 3 სახლიდან გამოსვენება ოთხშაბათს დილის 9 ნახ. საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა ამავე ეკლესიის გალავანში 2943—1—1

სახელმწიფო თეატრი

დღეს, სამშაბათს 9 მარტს

სინათლე

კვირას 7-ს მარტიდან თბილისში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი

„სასოფლო გაზეთი“

„სასოფლო გაზეთს“ აქვს შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.

„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთს რედაქტორობს **ნიკო კაიშაური.**

რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან. თითო ნომერი 3 მან. 4—3—7

ყოველთვიური ჟურნალი

„შვილდოსანი“

№ 2-3.

გამოვიდა და იყიდება. ფასი 30 მან. 5—1

დუშეთის მაზრის ერობა

საჭიროებს

ორ რაიონის აგრონომს და სამ ინსტრუქტორს,

მეღვინე-მევენახეობისას, მეხილ-მებაღე-მებოსტნეობისა და მესამე მესაქონლე-მერძეობისას

აგრონომებს ჯამაგირი 5500 და საგზაო 1500 მან.

ინსტრუქტორებს 4000 მან. და საგზაო 1000 მან.

თხოვნები უნდა გაიგზავნოს ქალ. დუშეთში დუშეთის ერობის გამგეობაში. საჭიროა დაწვრილებით აღწერა მათი მოქმედების და განათლების სამეურნეო დარგში მიღების შესახებ.

ქ. თბილისში

15 მარტისთვის მოწვეულია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ქალაქების და ერობების

მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლების

ყრილობა

ყრილობა გაიხსნება საღამოს 6 საათზე ქალ. თვითმართველობის დარბაზში.

დელეგატები უნდა გამოცხადდნენ ქ. თვითმართველობაში მუშა-მოსამსახურეების კავშირში, მესამე ქართულ თავისუფლების მოედანზე.

2926 3—3 **საორგანიზაციო კომიტეტი**

არტისტიული თეატრი

ოთხშაბათს, მარტის 10 ს

შ. ლევა დადიანის

დასასვენებლად გამგზავრების წინ წარმოდგენილი იქმნება მისივე

ახალი პიესა

„ბებეჭკორი“

3 მოქ.

ასრულებენ: ნ. ტავითაშვილი, ვ. გუნია, შ. დადიანი, ა. ვასაძე, ვ. მატარაძე, მ. ჭიაურელი.

II

ქალის 1001 ცბიერება

ვოდევილი 1 მოქ.

ამსრულებელნი: ელო ანდრონიკაშვილი, დადიანი, ფრანგიშვილი და თარალაშვილი.

ამ პიესაში შესრულებულ იქმნება

უზუნდარა

დასაწყისი 8 საათზე. ბილეთები იყიდება.

კონსერვატორიაში

9 მარტს, სამშაბათს,

ქართველ ქალთა საზოგადოება მართავს ლექციას

ქალი და კოოპერაცია

წაიკითხავს ლექციას

პავლე დადვაძე.

2940 1—1

ქუთაისის სამხედრო ინჟინერთა დისტანცია

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 16 მარტს,

დანიშნულია შეჯიბრება

ქუთაისის გარნიზონისათვის ოთხასი საჟენის მღერანი ზომის შეშის დამზადებაზე

შეჯიბრება მოხდება, როგორც ზეპირ შეჯიბრებით, აგრეთვე დაბეჭდილ პაკეტებით დისტანციის კანცელარიაში დღის 12 საათზე. მეჯიბრემ უნდა წარმოადგინოს საწინდარი 20 პროც განცხადებული ფასისა. პირობების გაგება შეიძლება ხსენებულ კანცელარიაში ყოველ არა უქმე დღის.

ქართული კლუბი

ოთხშაბათს, 10 მარტს

რუსული დრამის „ტარტუს“ მიერ

წარმოდგენილი იქნება

ქალი მე-40 წელში

კომ. 3 მოქ.

მონაწილეობს მთელი დასი. რეჟისორი ა. ა. ტუგანოვი.

დასაწყისი 9 საათზე. კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 42 2—1



პირველ-ხარისხოვანი

ცირკი „პრისტენს“

ვერის დაღმართზე. ტელ. 5—62.

სამშაბას, მარტის 7 ს 1920 წ.

გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენა

მთელი დასის მონაწილეობით მონაწილეობს ევროპაში გამოჩენილი ჰიპნოტიზორი მ-რ ბორგონი საერთაშორისო ფალავნების ჭიდაობის გაგრძელება. 1920 წლ მსოფლიო ფალავნის სახელის მოსაპოვებლად. დღეს თურქის მდევილ ფალავანი შეხვდება შავ ნიღაბს 1) შავი ნიღაბი—გინჯა ალის წინააღმდეგ 2) ნეიზვესტნი—ბუივოლოვი 3) ხანდაროვი ჟან დე კოლონი.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. პარადი დაიწყება ღ 10 ნახ. საათზე.

არბიტრი ვოლოდია კვიატკოვსკი

ანონსი: ამ დღეებში შესდგება ბენეფისი გინჯა ალის გასტროლები გლადიატორების გლორით.



ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი

(რუსთაველის პრ., 21,)

ყოველ დღე დილის 1—5 საათამდე.

◆●◆ სადილი ◆●◆

სამშაბათს მარტის 9-ს ახალი პროგრამა.

1) პოლიციის რაიონში. ინსცენიროვკა ი. რუდენკოვი. 2) ფაიკურის კურანტები. დასდგამს ჩუჩუ ჩუეთიანი. 3) დიდის ხიმლერები. შეასრულებს ს. კორონა. 4) ინტიმიური რომანსები შეასრულებს მ. მარკოვი 5) დედაბრები ბრ. მალიავინისა ლუბოკი.

ოთხშაბათს 10 მარტს საღამო ს. ლიახოვისა, გრანდიოზული პროგრამა.

ხელმძღვანელი კონსტან ანდრონი,

კონფერანსიე შავი ნიღაბი. დასაწყისი საღ. 10 ნახ. საათზე.

კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება

„კახეთი“-ს გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას 21 მარტს დილის 9 საათზე დანიშნულია

წევრთა საზოგადო კრება

განსახილველია:

1. წევრთა სიის გადასინჯვა.
2. განხილვა და დამტკიცება 1918—19 წლის ანგარიშისა.
3. განხილვა და დამტკიცება 1919—20 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა და მოქმედების გეგმისა.
4. გამგეობისა და საბჭოს მოხსენება.
5. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
6. წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა და დამტკიცება.
7. ორი გამგეობის წევრის არჩევა ნაცვლად თავის ნებით გასულ სტ. მიხ. პაატაშვილისა და რიგით გასულ ლ. გ. სამადაშვილისა.
8. ორი საბჭოს წევრის არჩევა.
9. სამი სარევიზიო კომისიის წევრის არჩევა.
10. მიმდინარე საკითხები.

გამგეობა.

ეროვნულ-დემ. სტუდენტთა საყურადღებოთ

ჩვენი სია არის

№ 2

დღეს, სამშაბათს საღამოს 9 საათ. სწარმოებს

არჩევნები

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობისა

ეროვნ.-დემოკ. პარტიის საუნივერსიტეტო ფრაქციის გამგეობა გავალებთ, თქვენ ამავე უნივერსიტეტის პარტიულ ამხანაგებს, მიხვიდეთ საარჩევნო ყუთთან (დილის 9 საღამოს 9 საათ.) და მისცეთ ხმა.

ექიმი

დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

ავადმყოფის მიღება 12 1 ნახ. ს. მადათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

ფარდა ახდილია!..

ფარდა ახდილია!

საქართველოს დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა მეტად საყურადღებო დოკუმენტი, რომელიც ნათელს ჰფენს იმ მოძრაობას, რომელიც დღეს ბათომის გარშემო იშლება.

ჩვენ ვიცოდით, რომ ხოპთან, ოსმალოს ჯარის საგრძნობი ნაწილი იყრიდა თავს და ბათომს გადმოსცქეროდა; ჩვენ ვიცოდით, აგრეთვე ის მუშაობაც, რომელსაც აწარმოებდენ კომუნისტების პარტიის აგენტები ბათომის მხარეში საქართველოს წინააღმდეგ; მოძრაობის შესახებ, საქართველოს მთავრობამ აცნობა კიდეც ინგლისის მთავრობას და მის ადგილობრივ სარდლობას, რათა მას ანგარიში გაეწია იმ საშიშროებისათვის, რომელიც ბათომს მოელის.

დღეს, ეს ცნობები, რომელიც აქამდე მხოლოდ არაოფიციალური წყაროებით მოგვდიოდა და რომელნიც, არც დადასტურებული და არც უარყოფილნი არ იყო ინგლისის პასუხის მგებელ წარმომადგენლების მიერ, უკვე ოფიციალურ ხასიათს იღებს და დამტკიცებულია იმ დოკუმენტით, რომელიც საზღვარზედ იქმნა დაჭერილი.

ოსმალებისა და ბოლშევიკების კავშირი უკვე ფაქტია! ეს ორი ძალა ირაზმება შეთანხმებულად ჩვენს წინააღმდეგ და ძალებს თვით ბათომის ოლქში აგროვებს.

ბოლშევიზმი ჩალმით მოირთო და ოსმალო გაბოლშევიკდა. ოსმალეთის ჯარის პოლკოვნიკი სულეიმან ეფენდი, ართვინელი აფხაზი, ინჟინერი.. ნაზსკი და ბოლშევიკების კომიტეტის სამი წევრი—აი შტაბი იმ ორგანიზაციისა, რომელიც ბათომის მხარეში მოქმედებს საქართველოს წინააღმდეგ და აჯანყებისათვის გეგმებს ადგენს.

ასეთს მდგომარეობაში, ნუ-თუ შეუძლია საქართველოს მშვიდად უცქიროს, როგორ ირაზმებიან მის წინააღმდეგ მისივე ტერიტორიაზედ?

იმ ნოტაში, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდ კერზონს გაუგზავნა, გარკვეულათ იყო ნათქვამი, რომ ერთად ერთი საშუალება მოსალოდნელ სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, ბათომის დაუყონებლივი გარდაცემა ერის სამართველოსათვის. ამ ნოტის პასუხი საქართველოს მთავრობას ჯერ არ მიუღია და მდგომარეობა ისეთს სახეს იღებს, რომ თითქოს, იმედიც იკარგება ამ პასუხის მიღებისათვის.

ამ ნოტის გაგზავნის შემდეგ იყო ერთი მომენტი, როდესაც ინგლისის ჯარები მოულოდნელად მოიხსნენ ბათომის მიდამოებიდან და თათრის ანაბარა დასტოვეს ქალაქი და მისი მხარე.

ეს მომენტი ჩვენს შესვლას ითხოვდა! ჩვენ უნდა დავეკავებია ბათომი და ამ აქტში მაშინ ვერავინ ვერ გაგვამტყუნებდა!

ჩვენმა მთავრობამ, თითქოს, კიდეც აისხა ყველა ზიზილ-პიპილა და თითქოს, შეეცადა კიდეც გადაედგა ის ნაბიჯი, რომელსაც მისგან მისი ერი და პოლიტიკური მომენტი ითხოვდა; მაგრამ... არაფერი არ მოხდა: პრესსა ისევ სწერს ბათომზედ, ხალხი ისევ ღელავს გამოურკვეველ მდგომარეობის გამო, ყველა გრძნობს, რომ რაღაც ბრკოლდება უმიზეზოდ, ხოლო მთავრობა, ისევ იუპიტერის სიმშვიდით გამოგვყურებს ზეკიდან!

ხოლო ამ დროს, ბათომში მოძრაობა ჩვენს წინააღმდეგ დღითი დღე ძლიერდება, ერთი ავანტიურა მეორეს ემატება და ისეთი კვანძი იბმება, რომლის გახსნა შემდეგში ვინ უწყის, როგორ გაგრძელდება.

მართალია ავტორიტეტულ წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, ბათომში მოკავშირეთა ძალებს ელიან, მაგრამ ვის შეუძლია მოგვცეს გარანტია, რომ ეს ძალებიც ისე მოულოდნელათ არ მოიხსნებიან, როგორც ინგლისის ჯარი, რომელიც ათიოდე დღის წინ, ლამის სრულებით არ აიბარგა ბათომიდან.

და თუ მხედველობაში მივიღებთ, იმ გაუგებარ, უძლურ და მერყევ პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულიშვილნო, გაიღეთ სწრაფად და უხვად! მიწის ძვრით გაუბედურებულ მოძმეთ აღუდგინოთ დანგრეული კერა!

კინემო მინიონი

მარტის 7, 8, 9 და 10 ს

პირველი ქართული კინო-დრამა
„საქართველოს კოოპერატივთა კავშირის“ გამოცემა
ნინოშვილის ცნობილი რომანი
გერონტი გოგიტიძის გამოცემა
„ქრისტინე“
ალ. წუწუნავას მხატვრული დრამა 4 ნაწილად

✦ პროგრამის გარეშე ✦

საქართველოს დამფუძნებელ კრების გახსნის დღე
სახალხო გვარდიის დღე თბილისში
საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი

მთელი თბილისი ჩვენს ეკრანზეა
მთავარ როლებში: ა. აბელიშვილი—დრამ. თეატრის მსახ.—ქრისტინე.
ვასო აბაშიძე—ქართ. თეატ. მსახ.—მედუქნე.
დათია—მამა. ანკარა—დედა.

დღეს:

ჩრდილო-ოსეთში ამბოხებაა დენიკინის წინააღმდეგ.

ბოლშევიკები ყუბანის ოლქში შეტევაზე გადმოვიდნენ.

ოჩაკოვთან საფრანგეთის გემს ებრძვიან.

ბოლშევიკებმა ქ. ირკუტსკი აიღეს.

იტალიაში დიდი შიმშილობაა.

დაიწყო ძლიერი მოძრაობა ჰუნგრეთის ხელშეკრულობის შეცვლის სასარგებლოდ. ფიქრობენ, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა ნება უნდა დართონ ავსტრიას, რომ იგი გერმანიას შეუერთდეს.

ოსმალეთის კაბინეტი გადადგა. კონსტანტინოპოლში მღელვარებაა.

ყუბანში დენიკინის დღეები დათვლილია.

კილიკიაში: მერამსა და კინტაბში ძლეტაა. ბეირუტიდან მიღებულ ცნობით 12000 სომეხი სიკვდილით დაუსჯიათ.

წერილები:

მეთაური—ფარდა ახსნილია!

— ინგლისი აზიაში.

დ. არაყიშვილი—ქართული სამუსიკო სკოლა.

ს. დარიანი—ბოლშევიზმი და საქართველო.

შალვა ბერიძე—ბიბლიოგრაფიული ეტიუდები

ტიკას, რომელსაც საზავო კონფერენცია ოსმალეთის მიმართ აწარმოებს, ჩვენს მოსაზრებას მრავალი საბუთი გაამართლებს;

მაშინ ოსმალოს ჯარი მეტად მომზადებული და უფრო გამხნევებული ეძგერება ბათომის კარებს, და მთელი საქართველო სისხლის მდინარეთ გადიქცევა... ნუ თუ ეს არის ხელსაყრელი და სასურველი ანტანტის სახელმწიფოსათვის?

საქართველოს მეტი მოთმენა აღარ შეუძლია! ლოდინის ფიალა აივსო და პასუხს ითხოვს!

ინგლისი აზიაში

გაზ. „ტაიმსი“ ეხება რა ბრიტანიის არმიის მომავალ ორგანიზაციის საკითხს, ეხება იმ საგულისხმიერო მნიშვნელობას, რომელიც პოლიტიკურ გარემოებათა შეცვლის მიზეზით ექნება ინგლისის ჯარს აზიაში.

რადგან წერილი მეტად საგულისხმიეროა, მოგვყავს იგი სავსებით:

„იმ ტერიტორიის გაფართოებას, რომელმაც წესიერების დაცვის პასუხისმგებლები ვართ, თანახმად საზავო ხელშეკრულობისა, არ ექნებოდა იმდენი მნიშვნელობა, თუ რომ რუსეთში გაბატონებული პარტია მშვიდობიანად ყოფილიყო განწყობილი და თანაგრძნობით მოჰკიდებოდა ერთა ლიგას.

საჭირო იყო უმნიშვნელო პოლიტიკური გარდაქმნანი, რათა ამით მოგვესპო საჭიროება ჩვენი სამხედრო ძალების ზრდის ომამდე ყოფილ კონტინგენტის წინააღმდეგ.

ჯერ ირლანდიის საკითხის გადაწყვეტასაც კი შეეძლო ამ ძალების ძველებურ რიცხვამდე დაწევა, ხოლო ეგვიპტესა და ინდოეთში საზავო და კონსტიტუციურ რეფორმების ერთად შეეძლო უზრუნველყოფა მისი თანდათანობითი დაცვის და შენახვის.

შესაძლებელია კიდეც, იმ შემთხვევაში, მაგალითად, ჩვენი მსხვილი ახალშენები რომ მოვიდნენ დასახმარებლად თავის მეტროპოლიისა მის იმპერიულ მოვალეობათა ასრულებაში და რა მიიღონ მონაწილეობა მშვიდობიან დროში მეციხოვნეთა შენახვაში. ამით საკმარისად იქნებოდა შემცირებული ჩვენი არმიის რიცხვი ომამდე ყოფილ რიცხვის წინააღმდეგ.

მაგრამ როდესაც რუსეთი არა თუ არა გვშველის, არამედ პირიქით აშკარა მტრობას იჩენს ჩვენდამი, ეს იმედები ოდნავ თუ მისაღწევი.

არა თუ ნამდვილ შემოსევის მუქარა გვაიძულებდა გვეყოლია ჩვენი გარნიზონები აზიაში, არამედ თვით თავნი ამგვარ საშიშროებისა და მუდმივი პოლიტიკური ინტრიგები გამოიწვევდა საზოგადო ამბოხებას, და ხელს შეუშლიდნენ იმ ჭრილობათა მორჩენას, რომელთა განკურნებაც სხვა გარემოებაში შეეძლო პროგრესიულ პოლიტიკას.

ძნელია სრული წარმოდგენის მიცემა იმ საზღვრების, რომლებამდისაც მტრული ბოლშევიკური რუსეთი აზიის ჩრდილოეთში გააძნელებს ჩვენს სამხედრო მდგომარეობას სამხრეთში.

ომმა ძირეულად შესცვალა სტრატეგიული მდგომარეობა აზიაში. დედოფალ ვიქტორიას დროს ჩვენ ვიყავით ოტტომანთა იმპერიის მოკავშირე თუ კონსტანტინეპოლს მოელოდა შიში რუსების თავდასხმით, ჩვენ შეგვეძლო მისი დაცვა ჩვენი საზღვაო ძალების შემწეობით. ამგვარადვე, რუსეთის მხრივ რომ ყოფილიყო შიში ინდოეთზე თავდასხმის, ოსმალეთს შეეძლო დივერსიის მოხდენა კავკასიაში ან და იერიში მიეტანა შემომტევ რუსეთის არმიაზე. ამასთანავე, რუსეთი ოდითგანვე ითვლებოდა აზიაში მაჰმადიანობის უძველეს მოსისხლე მტრად, და ლაშქრობა ინდოეთზე უნდა მომხდარიყო მაჰმადიანურ ქვეყნებზე გავლით, რომელნიც, თუ შეტევის ზეგავლენას ვერ შესძლებდნენ, ამბოხებას მაინც მოახდენდნენ პირველ დამარცხებისთანავე და კომუნიკაციის ხაზს გადუჭრიდნენ. მაგრამ ჩვენი მაშინდელი უპირატესობანი დღეს გამოიცვალა. ოსმალეთი, იმის ნაცვლად, რომ ჩვენი მეგობარი იყოს, გახდა შესაძლებელ ძლიერ მტრად, და ახლა რუსეთი კი არა, არამედ ჩვენ გავხდით მეტად საშიშონი აზიის მაჰმადიანობისათვის. ამ ჟამად ჩვენ უნდა გვეშინოდეს იმ კომბინაციების, რომლებიც კი მეტად შესაძლებელია რუსეთსა და მაჰმადიანობის უკმაყოფილო ელემენტების შორის.

თუ კი, როგორც მოსალოდნელია, რუსეთში გაიმარჯვებს სამხედრო პარტია, რომელიც ბოლოს მოუღებს ბოლშევიზმს, მაშინაც კი, ჩვენი მდგომარეობა არ უმჯობესდება.

მაშინდელი განწყობილება რუსეთში რასაკვირველია იმპერიალისტური იქნება, და ეს იმპერიალისტები კი ჩვენ მადლობას არაფერში გვეტყვიან.

მაგრამ არის კიდევ სხვა საფუძვლები, რომ ჩვენი სამხედრო მდგომარეობა აზიაში მტრულის, სულ ერთია — ბოლშევიკურ თუ მილიტარისტულ რუსეთთან, რომ მეტად საშიშრად ჩავთვალოთ, ვიდრე ეს ვიქტორიას მეფობისას იყო. მაშინ ჩვენ ვიმყოფებოდით განსაკუთრებულ სტრატეგიულ მდგომარეობაში, და ჩვენ სულაც არ გვჭირდებოდა ჩვენი სამხედრო ოპერაციები გაგვეჭიმა ინდოეთის ბაზისიდან.

ჩვენ რომ მოგვესურვებოდა, შეგვეძლო მოგვეცადნა ვიდრე რუსეთის საექსპედიციო რაზმები დაგვიშორდნენ ორთქლმავლებიდან, და ეს ხელსაყრელი პოზიცია უზრუნველყოფდა ჩვენს გამარჯვებას, გინდაც რუსები შესულიყვნენ ავღანში.

პრაქტიკაში, ჩვენ არ ვემხრობოდით ასეთ პოლიტიკას, თუმცა ვაწარმოებდით ორ ომს, ერთს ავღანეთთან და ერთს სპარსეთთან, მაგრამ ერთად ერთი მიზანი ამ ომების იყო ზემოხსენებულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა რუსეთისგან და ყოველი ფიქრი მათზე ჩვენი გაბატონებისა, ჩვენთვის სრულიად უცხო იყო.

ამასთანავე, ინდოეთის სამხედრო წრეებში ყოველთვის არსებობდა ძლიერი მიმდინარეობა რომელმაც შემდეგში უპირატესობა მიიღო წინააღმდეგ შუა აზიის ქვეყნებში სამხედრო ჩარევისა, რანაირი საბაბითაც გინდ არ იყოს იგი.

მაგრამ ომიანობის დღიდან სამხედრო ინტერვენციის ამგვარი პოლიტიკა შეუძლებელი გახდა. იმ მომენტიდან, რაც ჩვენ ჩვენ თავზე ვიღეთ პასუხისმგებლობა მესოპოტამიისთვის, განუჩევლად ურთიერთობა შუა-აზიის ქვეყნებისადმი ჩვენთვის უაზროდ ხდება და კერძოდ, კასპიისა და შავი ზღვის შუა მდებარე ყელი განსაკუთრებულ სამხედრო მნიშვნელობას იჩენს 1918 წ. რუსეთის ომიდან გამოსვლის შემდეგ იქამდე, როგორც კი იმალებოდა ჩვენში მისი ჩვენთვის აქტიურ მტრად გახდომის, ჩვენ საჭიროდ ვცანით ბაქოსა და კრასნოვოდსკის დაჭერა კასპიის ზღვის წინა მდებარე ნაწილზე, რათა ამით ლაგვებრკოლებინა ოსმალ-გერმანელთა შესევა ინდოეთში. იმ ხანებში ოსმალეთი დაუძლურებული იყო დამარცხებით, გერმანია გართული იყო დასავლეთის ასპარეზზე, და შიში იყო მეტად შორეული. ეხლა კი ეს შიში უფრო რეალ ხასიათს იჩენს.

ამიერ-კავკასია შესავალს ჰხსნის არა მარტო მესოპოტამიის ველებში, არამედ სპარსეთშიაც. პოზიციების დაცვა მესოპოტამიაში შეუძლებელია სპარსეთის შიშით. რუსეთის შეტევა ამ მიმართულებით გვაიძულებდა ჩვენ, რანაირადაც ეს სასურველი არა ყოფილიყო ჩვენთვის, ან ამიერ-კავკასიის ყელი დაგვეჭირა, ან უარი გვეთქვა ჩრდილო-მესოპოტამიის ან და ჩრდილო სპარსეთის დავაზე. ომის პირველ ხანებში ინგლისში იყო ასეთი მოსაზრება, რომ კონსტანტინოპოლი უფრო უახლოესი გზა იყო ბერლინში. ამნაირივე მოსაზრებით ლენინმა, როგორც გადმოგვცემენ, გამოსთქვა აზრი, რომ ბაქო და მოსულ უახლოესი გზები არიან ლონდონში.

ორმოცდაათი წლის წინად ჩვენ ინდოეთის კუს შეეძლო თავი შეეფარებინა თავის ფარის ქვეშ. ეხლა, მას შემდეგ, რაც ჩვენ მესოპოტამია ვიშოვნეთ, თავი გამოშვერილია საცემრად რუსეთისაგან, და მის დაცვას ვერ შევძლებთ იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ამოვიფარებით თავდაცვითი ხელსაყრელ ბლაგს ამიერ-კავკასიის სახით.

ამ მოსაზრებების მიხედვით, ბოლშევიკური შეტევა ინგლისის ინტერესებისთვის აზიაში წარმოადგენს მეტად სერიოზულ საშიშროებას; რაც დიდ გავლენას მოახდენს ჩვენს თავდაცვითი სამხედრო ორგანიზაციაზედ.

შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ჩვენ შევძლოთ ამ ოლქებში ომისთვის მეორე ხაზის ლაშქარი გავგზავნოთ. რადა გვრჩება? ჩვენ ალბად უნდა გვყავდეს რეგულიარული ლაშქარი, რომელიც თავდაცვით ომს აწარმოებს რუს-ბოლშევიკების და ოსმალეთის ნაციონალისტების წინააღმდეგ. ასეთ თავდაცვით ომის წარმოება შეუძლიან არსებული საოკუპაციო არმია 160.000 კაცის დახმარებით მაგრამ ამგვარ თავდაცვით ომს დასასრული აღარ ექნება და მისი მოკლე ხანში გათავება შეიძლება მხოლოდ ევროპითაც რუსეთის წინააღმდეგ შეტევითი მოქმედებით, ხოლო ამისთვის კი საჭიროა პირველი ხაზის ლაშქარი.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ? ისეთი დასკვნა, რომ აზიაში ჩვენი ახალი მოვალეობათა დაცვისათვის რუსებისა და ოსმალეთის მტრულ კომბინაციების წინააღმდეგ ერთხელ კიდევ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი მეორე ხაზის ლაშქარი აქტიურ ოპერაციებში ევროპიულ ნიადაგზე. და ეს საჭიროება შეიძლება გაჩნდეს დამოუკიდებლივ იმისა, რანაირი დაბეჯითებით გინდა გავერიდოთ თავდასხმას აზიურ რუსეთში და რანაირიც გინდ არ იყოს ჩვენი ევროპიული პოლიტიკის მიმართულება.

სხვანაირ სიტყვებით, ჩვენი არმია, გამოყვანილი რუსეთიდან მისთვის, რომ თითქოს ის რუსეთის საქმეებში ერეოდა, უნდა დაბრუნდეს უკანვე.

უბრალოდ ჩვენ ძველებურ მოვალეობათა დასაცავად ინდოეთში და იმ ახალ ვალდებულებისათვისაც, რომელნიც საზავო ხელშეკრულობამ დაგვაკისრა, და ეს არმია, რომელიც უნდა რუსეთში გაემართოს, გახდება საჭიროების მიხედვით მეორე ხაზის ლაშქრად, რადგან ყველა ჩვენი რეგულიარული ჯარები, ზემოდ თქმულის მიხედვით, დაბანდდებიან მესოპოტამიისა და ინდოეთის დაცვით. და ვიმეორებთ, ყველაფერი ეს გამოწვეული იქნება არა რუსულ პოლიტიკაში ჩარევის სურვილით, არამედ განსაკუთრებით სამხედრო მოსაზრებებით.

ჩვენი პირველყოფილი შეცდომის ანგარიში რუსეთში, თუ ჩვენი შიში სამართლიანია, სწრაფად იზრდება“...

უცხოეთი

აზერბაიჯანი

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების თათბირი.

როგორც გაზ. „აზერბაიჯანს“ ატყობინებენ ქ. ბაქოში მოსალოდნელია აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს წარმომადგენლების თათბირი.

იტალიის სამოქალაქო მისია.

იტალიის სამოქალაქო მისია, სენატორ კონტის მეთაურობით, ბაქოდან, თბილისზე გავლით, ერევანში გაემგზავრა, სადაც სენ. კონტი სომხეთის მთავრობას იტალიის სამეფო მთავრობის რწმუნებულობის დოკუმენტს ჩააბარებს.

ერევანში მისია ერთ დღეს აპირებს დარჩენას. თბილისში მისია მარტის 6-ს ან 7-ს დაბრუნდება. მარტის 4 ს ბაქოდან თბილისში გამოემგზავრა მისიის 2-წევრი პრ. ნოვარეზი და ინჟ. დელ-პროპოსტო. ბაქოში, ამ ჟამად იმყოფება მხოლოდ მისიის სავაჭრო საქმეების წარმომადგენელი ალფრედ გელა, რომლის საშვალებით გრძელდება მოლაპარაკება აზერბაიჯანის მთავრობის და სენ. კონტის შორის მისიის თბილისში დაბრუნების შემდეგ უნდა დამყარდეს უშუალო კონტაქტი მისიასა და აზერბაიჯანის მთავრობის შორის, ამიტომ მისია შეიძლება მეორეჯერ ჩამოვიდეს ბაქოში, ან და აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენელნი თბილისში გაემგზავრება.

გემი „სოლუნტო“, რომელიც მისიას ფოთში უცდიდა, წავიდა ბათომში, საიდანაც დაახლოვებით მარტის 13-ს მისია იტალიაში გაემგზავრება.

მისიის გამგზავრების შემდეგ ბაქოს, თბილისა და ერევანში დარჩებიან მისიის წარმომადგენელნი. წარმომადგენლებს კონტი აირჩევს.

ხორბლის ყიდვა მოსახლეობისათვის.

ლენქორანის ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა მოსახლეობას პირველ საჭიროების საქონლის გაიაფების კომიტეტს აღმოუჩინონ დახმარება ბაზრისათვის ფქვილის შეძენის საქმეში. კომიტეტის ცნობებით, ლენქორანში ფუთი ფქვილი 360 მანეთი ღირს.

პურის ფქვილის შესაძენად ლენქორანში ოთხი კაცისაგან შემდგარი კომისია აირჩიეს, რომელმაც სასურსათო სამინისტროსთან აღძრა შუამდგომლობა ხორბლის შეძენის გასაადვილებლად.

ეპიდემიის წინააღმდეგ ზომები

აზერბაიჯანის ქალაქებში ეპიდემიის წინააღმდეგ ზომებისთვის ჯანმრთელობის სამინისტროს ხარჯ-აღრიცხვაში 10 მილ. შეტანილი.

წყლის ენერგიის გამოყენება

მიწად-მოქმედების სამინისტროს ერთ დღიურ საკითხად ითვლება ჩანჩქერების ენერგიის გამონგარიშება, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა ჰიდრო ელექტრიული მოწყობილებათა საშუალებით მრეწველობის განათებისა და ტრანსპორტის საჭიროებათა გამოსაყენებლად.

ჭაობის ამოშრობა

მიწად-მოქმედების სამინისტროს მიზნად აქვს არეშისა და გეოკჩაის ვაკე ადგილების ნიადაგების გამოკვლევა, რათა ამოშრობილი იქნეს ის ჭაობები რომელნიც ცხოვრებისთვის მძიმე პირობებს ქმნიან, როგორც მაგ. უჯარმაში.

სომხეთი

ოსმალეთის სომხები

„უნი გიუნის“ ცნობით ერევნის მთავრობამ ოსმალეთის სომხებს სკოლებისათვის ორი მილიონი მანეთი გადასდო.

რუმინელმა სომხებმა ხელის მოწერა გამართეს შეწირულების მოსაკრეფად ოსმალეთის სომხების სასარგებლოდ. დღემდე შეგროვილია 100.000 ფრანკი.

ამასთანავე იძენენ რამდენიმე მილიონ ფქვილს ვაგონს ოსმალეთის სომხებისთვის გასაგზავნად.

მთა

ამერიკელების დახმარება მთიელებს.

კონფერენციის უმაღლესი კომისარი სომხეთში და ამერიკის დამხმარე კომიტეტის მთავარი დირექტორი ახლო აღმოსავლეთში პოლკოვნიკი ჰასკელი მეტად თანაგრძნობით მოეკიდა ომისგან დაზარალებულ მთიელთა რესპუბლიკის დახმარების საკითხს.

ჯერჯერობით დაღესტანში გაგზავნილია ორი ყუთი მედიკამენტი. ახლო მომავალში კონსტანტინეპოლიდან ელიან მედიკამენტებს, თეთრეულს, შეკეთებულ რაშეს და სხ. სურსათს.

ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკის წარმომადგენელმა საქართველოსა და სომხეთში ჰაიდარ ბამმატმა, მიიღო რწმუნება, რომ მოზიდულ საქონლიდან ნაწილი მთიელთა მოსახლეობას მიეკუთვნება. (ვოლ. გ.)“.

ამბოხება ჩრდილო ოსეთში.

კავკავიდან ჩამოსული პირი იუწყება, რომ 25—26 თებერვალს ოსეთსა და დიგორიაში ამბოხებამ იფეთქა. მეამბოხენი მოითხოვენ დენიკინელ მძარცველთა გასვლას მათი მხარიდან, და ოსების ჩაურევლობას რუსეთის სამოქალაქო ომში პროტესტს აცხადებენ დაუსრულებელ რეკვიზიციების გამო. მოძრაობა ძლიერ ღრმავდება მათი ლოზუნგია: „არც ბოლშევიკები და არც დენიკინელები“.

ამ ამბებით და მოძრაობით შეშინებულმა მოხალისეთა სარდლობამ პოლ. დოროფეევის მეთაურობით ოსეთში გაგზავნა რაზმი ამბოხების ჩასაქრობად. მოხალისეთა რაზმმა უმთავრეს საოპერაციო ბაზად ამოირჩია ოსეთის გული სოფ. არდონი. აქედან დაიწყება შეტევა ყოველ მხრივ.

ოსეთის მმართველის ძალა—ყოფილი სასახლის კაცი სპარსეთის ეხ-ბახსაბაევის სრულიად ფიქტიურია. ხალხის თვალში მის სახელს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მოხალისეთა არმია კი სრულ ინდიფერენტობას იჩენს ოსეთის წარმომადგენლის წინაშე და არავითარ ანგარიშის გაწევაც არა სურს ოსეთის „მართველის“ ძალის. თუ ვინიცობაა ოსეთის ნაწილმა დაუჭირა მხარი ამ მოძრაობას, მაშინ უნდა ვიფიქროთ რომ „დობრო არმიის“ დღეები დათვლილია. ჩრდილო-კავკასიის ბედიღბალი, ეხლანდელ მოძრაობით, დიდ როლს თამაშობს და ამიტომაც მოხალისეთა არმიას გადაწყვეტილი აქვს რომ როგორმე ჩააქროს ეს ამბოხება. „(ვოლ. გორ.“).

ჩერქეზები ყუბანის რადაში და უმაღლეს „კრუგში“

პარიზში ყუბანის დელეგაციის წევრის ქულაბუხოვის სიკვდილით დასჯის შემდეგ და დენიკინის მიერ ყუბანის რადის განდევნის შემდეგ ყუბანის საზღვრებიდან განდევნეს რადის თვალსაჩინო წევრები ჩერქეზები მახოშ-ვირიე და გაცუგოვ რომელნიც ეკუთვნიან რადის შემარცხენე ფრთას რესპუბლიკანელ ფედერალისტებს.

ამ ჟამად ჩერქეზების ზემოხსენებული წარმომადგენლები რადაში სცხოვრობენ კონსტანტინოპოლში. (ვოლ. გ.)

რუსეთი

(საქ. დეპ. სააგ.).

საბჭოთა პრესსიდან.

„პრავდას“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: ეხლა ჩვენ ვდგევართ ჩვენი სამშობლოს კონტრ-რევოლუციის დამარცხების წინა დღეში. კაგალნიცკაიას და გორლიკსკაიას აღება მომზადებულია, იმისა, რომ მტრის კავკასიის ჯარი თავის დაცვას ვეღარ ახერხებს. ოლგინსკაიან და ხომუტოვსკაიას რაიონში დონელების დამარცხებამ გააშიშვლა მოხალისეთა ჯარის მარჯვენა ფრთა და ეს უკანასკნელი მოხდა ლატერისკის სიმაღლეზე გორის შემორტყმის შემდეგ. წითელი ჯარი შეუჩერებლად სდევს უკან მოხალისეთ: 3 დღის განმავლობაში ჩვენებმა გაიარეს 70 ვერსზე მეტი და ბრძოლით აიღეს კუშჩევსკაია და მდ. ეიაზე გამოდიან, სადაც მტერს დაჩერება არ შეუძლია. ყუბანზე დენიკინის დღეები დათვლილია.

ბოლშევიკების სამხედრო ცნობა. მარტის 6. ბობრუისკის რაიონში ბრძოლა გრძელდება. მტერი მდ. ოლაზე გადავდევნეთ. მოზირითან მკაცრი ბრძოლა სწარმოებს, შავი ზღვის ნაპირზე ოჩაკოვთან საფრანგეთის გემთან ბრძოლაა. როსტოვის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. ეიასთან იბრძვის. ტიხორეცკაიას სამხრეთ-აღმოსავლეთით 45 ვერსზე ილინსკაიასთან ბრძოლის დროს ჩვენ 300 ტყვე წამოვიყვანეთ ჩვენ ირკუტსკი ავიღეთ. არხანგელსკის აღების დროს ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა საბუთები, რომელნიც ჩრდილოეთის ფრონტის დაშლის მიზეზებს აღნიშნავს.

მოზირის და ოვრუჩის რაიონში ბრძოლაა. დნესტრზე სიწყნარეა. ოჩაკოვთან საფრანგეთის გემმა მეორეჯერ დაუშინა ჩვენ ხმელეთის არტილერიას. სივაშის რაიონში მტრის ჯავშნიანი მატარებელი დავამარცხეთ. როსტოვის რაიონში ჩვენ სადგ. კისლიაკოვსკაია ავიღეთ. ხელში ჩავიგდეთ 3 ზარბაზანი, ტყვიის მფრქვეველები და სხვა ქონება.

ლენინის სიტყვა საბჭოში

ლენინმა, რომელიც მოსკოვის საბჭოშია არჩეული, მისასალმებელ სიტყვებში სთქვა: ამ ომში, რომელიც ჩვენ ძალით აგვკიდა ბურჟუაზიამ და კაპიტალისტებმა, მტრის წინააღმდეგობა ყველა მიმართულებით გადალახულია. ეხლა ჩვენს წინაშე სდგას ახალი მიზანი დანგრეული ქვეყნის აღორძინებისა. ეს მიზანი უომრად, უსისხლო ფრონტზე (გამოცოცხლებულია) ეხლა ჩვენ შემოგვიერთდა ციმბირის გლეხები, რომელთაც ყველაფერი მრავლად აქვს და რომელიც თავისუფალ ვაჭრობას ეწევა, ჩვენ უნდა მივიღოთ გმირული ზომები, რომ პურით ეს თავისუფალი ვაჭრობა არ ყვავოდეს იმიტომ, რომ ის გლეხები, რომელიც ზედმეტი პური აქვთ და [illegible] ამ პურით თავისი ძმის ექსპლოატაცია, წარმოადგენენ მუშათა კლასის მტრებს, რომელთაც ჩვენ უნდა ვებრძოლოთ.

ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს ამ წვრილი ბურჟუაზიული დემოკრატების განადგურება. თქმა იმისი, რომ მხოლოდ მშრომელ გლეხს შეუძლია იყოს ჩვენი ძმა, ჩვენთვის ზედმეტია, ჩვენ ეს სულ ერთი ვიცით. მაგრამ გლეხი, რომელსაც ზედმეტი პური აქვს და ამით სპეკულიაციას ეწევა ჩვენი მტერია და ჩვენ მას შეუბრალებლად უნდა ვებრძოლოთ, ჩვენ მივალთ განსაკუთრებულ მდგომარეობაზე ჩვენი სამხედრო ზომებით, რომელიც ჩვენ ამ ორი წლის განმავლობაში გამოვიმუშავეთ და რომელთა საქმეც გადაქცე-

ეროვნული

ღრმად დამწუხარებული მეუღლე ნინო ივსტაფიევისა, ქალი (და სიძე ია) ბარბარე და სიძე. ნიკოლოზ იაშვილებისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ.

ივანე იოსების ძე ისტაფიევის

გარდაცვალებას პანაშვიდი გადახდილ იქნება სამშაბათს 9 მარტს საღამოს 4 საათზე თბილისის სადგურზე საიდანაც 10 მარტს მოხდება გასვენება ქ. თელავში საკრებულო ტაძარში. პანაშვიდები გადახდილი იქნება ყოველ დღე საღამოს 7.

თეთ. ჩვენ მოუწოდებთ მუშაობისაკენ გლეხთა მასას და ჩვენ შევძლებთ იმის მიღებას, რაც გვსურს. იმ დროს, როდესაც ყოფილი მეფის ოფიცრები ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდენ სპეციალისტები ათეულობით გარდავქმენით და ისინი გვეხმარებოდენ ჩვენ მუშაობაში. კომისრებთან ერთად ისინი ჩვენთან სწავლობდენ მუშაობას და სამაგიეროთ ტეხნიკურ ცოდნას გვაძლევდენ. მათი დახმარებით წითელ არმიას შეეძლო გაემარჯვებია, ისე როგორც იმარჯვებდა. ეხლა ჩვენი მუშაობა შრომის ფრონტზე უნდა გადავიტანოთ. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ყოფილი მესაკუთრეებით, ყოფილი მტრებით“.

ინგლისი

ინგლისელების დაბრუნება სამშობლოში

(საქ. დეპ. სააგ.)

საგარეო საქმეთა კომისარი აუწყებს ყველა იმ ინგლისელს, რომელთაც საბჭოთა რუსეთში სცხოვრობს, რომ რ. ს. ფ. რ. ბრიტანეთის წარმომადგენელთა შეთანხმების თანახმად, ყველა ინგლისელს, გარდა იმისა, რომელსაც მძიმე დანაშაული ჩაუდენია, ნება ეძლევა სამშობლოში დაბრუნებისა. ამის გამო ინგლისის მოქალაქეებმა, რომლებიც რუსეთში სცხოვრობენ, ადგილობრივ საბჭოებს უნდა მიმართონ.

იტალია

გაფიცვა იტალიაში

(საქ. დეპ. სააგ.)

იტალიაში შიმშილია. როგორც სჩანს იტალიაში სურსათის მხრივ მდგომარეობა მძიმეა. მთავრობა ფიქრობს პურის რეკვიზიციას და აუცილებელ სურსათზე ფასების შემოღებას. სურსათის ნაკლებობასთან ერთად არ არის არც ნახშირი. მატარებლების მიმოსვლა ნახევრად შეწყვეტილია, ყველა თეატრი და რესტორანი 11 საათზე უნდა დაიხუროს. იტალიაში გაფიცვები დაიწყო. გაიფიცენ მემაღაროეები, რომელთაც დაანგრიეს მაღაროები. მათ წინააღმდეგ ჯარი გაიწვიეს. გაიფიცენ აგრეთვე მიწადმოქმედების დარგის მუშები.

გერმანია

ნიტი გერმანიის შესახებ.

ზოგი გაზეთი აღნიშნავს: ნიტის აზრით საჭიროა გერმანიის აღდგენის უზრუნველყოფა, თუნდა იმ გადასახადების გადადებით, რომელიც გერმანიამ საფრანგეთს უნდა მისცეს. გუშინ პარიზში ჩამოსულმა ნიტიმ, რომელიც ინახულა გაზ. „მატენის“ წარმომადგენელმა განაცხადა: ეს ხმები არის სულელური და ბოროტი. მე ვფიქრობ გერმანიის რესტოვრაციის უზრუნველყოფას სწორედ იმ მიზნით, რომ საშუალება მიეცეს მას თავის ვალდებულებათა აღსრულებისა და იმ პირობებში, რომელსაც დაისახავს აღორძინების კომისია, თანახმად საზავო ხელშეკრულობისა.

იაპონია

იაპონია საფრანგეთის ურთიერთობა.

საფრანგეთის საზღვაო მინისტრმა იაპონიის საზღვაო მინისტრ ამირალ კატოსაგან მიიღო შემდეგი დეპეშა: დიდის სიამოვნებით გაცნობებთ, თუ როგორ გულმხურვალეთ მიიღეს თქვენი ბრწყინვალებისა და საფრანგეთის მთელი საზღვაო ოჯახის [illegible] სარდლობით საფრანგეთში მყოფი ჩვენი ესკადრა. იაპონიის ყველა მეზღვაურის სახელით გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულწრფელი მადლობა. მე ბედნიერი ვარ აღვნიშნო, რომ მეზღვაურთა ურთიერთობისადმი დარბაზობა უფრო განამტკიცებს იმ კავშირს, რომელიც დიდი ომის განმავლობაში არსდება ჩვენ შორის.

უნგრეთი

უნგრეთის კონსტიტუცია.

სალისბურგში გაიმართა თათბირი პროვინციის წარმომადგენლების უნგრეთის კონსტიტუციის პროექტის შემუშავების შესახებ. როგორც ჰფიქრობენ კონსტიტუციის ფორმა ფედერალიური იქნება.

ოსმალეთი

პარლამენტის პრეზიდიუმი სულთანთან.

ამ დღეებში სულთანს წარუდგა გამოჩენებითი აუდიენციით პარლამენტის პრეზიდიუმი რეზად ხიკმენის თავმჯდომარეობით. პრეზიდიუმში იყვნენ აგრეთვე თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ჰუსეინ ყაზიმ ბეი, უმცროსი ამხანაგი მეჯი ეფენდი და მთავარი მდივანი ჰუსეინ ბეი.

მთავარ შტაბის ახალი უფროსი.

სამხედრო მინისტრის მიერ დანიშნულ მთავარ შტაბის უფროსის—მუსტაფა ფეიზ ფაშის ნაცვლად დანიშნულია ცნობილი გენერალი, ოსმალეთის ყოფილი სამხედრო მინისტრი შევკეთ თურგუდ ფაშა.

წესიერება პროვინციაში

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობებით, სივასის, ბითლისის და არზრუმის ვილაიეთებში სრული სიწყნარეა.

ეგვიპტეს მაჰმადიანები და ოსმალეთი.

ეგვიპტეს საკანონმდებლო ყრილობის წევრებმა სენატორ მარიი ნემაის მეთაურობით, მიჰმართეს ლოიდ-ჯორჯს ტელეგრამით, რომელშიც სთხოვენ საზავო კონფერენციაზე დაიცვას ოსმალეთის ინტერესები და კონსტანტინეპოლის ოსმალეთისთვის დარჩენის საკითხი.

მდგომარეობა კონსტანტინეპოლში

(საქ. დეპ. სააგ.)

საქმესთან კარგათ გაცნობილ წრეების აზრით მოხდება ოსმალეთის კაბინეტის გადადგომა. იზეტ-ფაშის მიერ კაბინეტის შედგენის შესაძლებლობას უცქერიან, როგორც არა სამედო ნიშანს, რადგანაც ისეთი (დამახინჯებულია)... სულთან [illegible]. მოკავშირეთა წარმომადგენლები, ლოიდ ჯორჯისა და კერზონთან ერთად, მდგომარეობას იმდენათ სერიოზულად სთვლიან, რომ იგი გადაჭრილ პოლიტიკას მოითხოვს. ლოიდ ჯორჯმა აცხადა, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და შეტყობინებული აქვს კონსტანტინ პოლში მყოფ მოკავშირეთა წარმომადგენლებს, მაგრამ დაუმატა, რომ „გაუფრთხილებლობა“ იქნება ამ გადაწყვეტილების ამ ქამად გამოქვეყნება.

ოსმალეთის კაბინეტის გადადგომა

ლონდონი 5 მარტი ოსმალთა კაბინეტი გადადგა მოკავშირეთა ნოტის შემდეგ რომლიც მოითხოვდა (გამოტოვებულია) ჯარის გაყვანას.

კილიკიაში.

(საქ. დეპ. სააგ.)

კილიკიაში, მერაშსა და ეინტობში ქემალმა, ბეირუტიდან მიღებულ სარწმუნო, ინგლისურ წყაროების მიხედვით სიკვდილით დასაჯეს 12000 სომეხი. [illegible] მერაშში ითვლებოდა 30.000 მცხოვრებელი, ეხლა კი სულ დიდი 8000 კაცი თუ იქნება.

ახალი ამბები

პარტიული ცხოვრება

ეროვნ.-დემოკ. სტუდენტთა საყურადღებოდ

არ დაივიწყოთ ამხანაგებო, რომ დღეს, სამშაბათს, საღამოს 9 საათამდე სახელმ. უნივერსიტეტში სწარმოებს ამავე უნივერსიტეტის გამგეობის არჩევნები. გაეშურეთ საარჩევნო ურნისაკენ, მოიხადეთ თქვენი მოქალაქეობრივი ვალი. ამას გავალებთ თქვენ პარტიის წევრობა. თან იქონიეთ მატრიკული, ან რაიმე სტუდენტობის დამამტკიცებელი მოწმობა ჩვენი სია № 2.

საფაკულტეტო გამგეობათა საყურადღებოდ

დღეს უკანასკნელი დღეა არჩევნებისა გევალებათ მიიღოთ მხურვალე მონაწილეობა.

ერ. დემ. სტუდ. ფრაქც. კომიტეტი.

სამინისტროებში

სახელმძღვანელოების გადასინჯვა.

განათლების სამინისტროს სამოსწავლო კომიტეტი შეუდგა ქართული ენის სახელმძღვანელოების განხილვას. პირველ რიგში განიხილება გრამატიკის სახელმძღვანელოები ს. ხუნდაძისა და სხვ.

თბილისის მილიციის შტატები.

შინაგან საქმეთა სამინისტრო საჩქაროდ იმუშავებს თბილისის მილიციის შტატებს.

განკარგულება მილიციის უფროსების მიმართ.

შინაგან საქ. სამინისტროს კანცელარიამ ცირკულიალური განკარგულება მისცა საქართველოს რესპუბლიკის მილიციის უფროსებს, რათა სასამართლოს ბრალმდებელ მიაწოდონ ყოველივე ცნობები ბოროტ-მოქმედებათა შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრი

ნოე რამიშვილი გაციებით ავად გახდა... დროებით მის თანამდებობას ასრულებს ნ. გ. ჭიჭინაძე.

სტამბოლიდან იტყობინებიან:

„23 თებერვალს საქართველოს წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში პ. ოცხელიძე სადარბაზოდ საბერძნეთის პატრიარქთან იყო და მას გადასცა საქართველოს კათოლიკოს ლეონიდე 1-ს წერილი, თან გადასაცემად სამი წერილი მართლმადიდებელ პატრიარქებს იერუსალიმში, ანტიოხიაში და ალექსანდრიაში. ბ-ნი ოცხელიძე დიდი პატივით მიიღეს.

თვითმართველობაში

განაპირა ქუჩების განათება

რადგანაც ელექტრონის კერძო სადგურების მეპატრონენი ქუჩების გასანათლებლად არ იძლეოდენ საკმაო სინათლეს და კერძო ბინებს კი მეტი ხალისით აძლევდენ სინათლეს ქალაქის თვითმართველობამ აამუშავა ერთი ძველი მანქანა, რომლითაც ჯერ-ჯერობით განაპირა უბნებს მიეცა სინათლე, აგრეთვე მოკლე ხანში ელექტრონის სინათლე მიეცემათ იმ უბნებს სადაც ამდენხანს ფარნებით ანათებდენ ქუჩებს.

დამფუძნებელ კრებაში

ეროვნულ უმცირესობათა საკითხი

ოთხშაბათს, მარტის ათს, საღამოს 7 საათზე შესდგება დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომა, რომელზედაც მოწვეულნი არიან რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლნი.

სხვა და სხვა ამბები

ვერმორელის აპპარატები

მიწათმოქმედების სამინისტრომ მიიღო ვერმორელის აპპარატები, რაფია, ბადირა და სამყენ დანები, გოგირდის საბერველები, სეკატორები და სხ. მსურველთ უნდა მიმართონ ხსენებულ სამინისტროს.

გემი „დანუბე“ ავარიის გარშემო.

კავკასიის მოკავშირეთა მისსიის ერთ-ერთი აგენტი, რომელიც კონსტანტინოპოლიდან ბათუმში გამოემგზავრა გემ „დანუბე“-ს აგენტი შემდეგ ცნობებს იძლევა გემის შესახებ.

გემი ბოსფორიდან გამოსულა შავზღვაზე 7 მილზე და ღამის 2 ს. დაეჯახა ნაღმა და აფეთქდა. გემი შეირყა და მსწრაფლ წინა წვერით წყალში ჩაეშვა, გახეთქილ ადგილებიდან წყალი შედიოდა, მაგრამ გემის ცხვირმა დაიჭირა და წყალი ველარ შევიდა და გემი არ ჩაიძირა. აფეთქებამ მგზავრებში დიდი პანიკა გამოიწვია მაგრამ იგინი დაამშვიდეს, ზოგიერთ გზავრებმა—მათ შორის იყო საფრანგეთის სამხედრო ესკორტი, რომელიც აცილებდა ქართველ და მაჰმადიან ტყვეებს გერმანიიდან. საქართველოში ის ცნობები თითქოს ადამიანის მსხვერპლი ყოფილიყოს პანიკის ნაყოფი. საერთოდ არავითარი მსხვერპლი არ ყოფილა.

ცენტრო ბანკი

ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა საქართველოს ცენტრო-ბანკის წესდება ოცდაათი მილიონის ძირითადი თანხით, რომელიც შეგროვდა ბანკის აქციონერთაგან. პირველი საზოგადო კრება დანიშნულია ამა თვის 21 ქ. თბილისში ცენტრო-ბანკის ბინაზედ (პუშკინის ქ. № 3). ამ დროისთვის მზად იქნება თვითონ ბანკის შენობა, რომლის შეკეთებას აწარმოებს ინჟინერი მამრაძე.

ტყის მცველთა და რევიზორთა ყრილობა

მარტის 22 ს ქუთაისში შესდგება ყოველი ქუთაისის ტყის მცველთა და ტყის რევიზორების ყრილობა. თავმჯდომარედ იქნება რესპუბლიკის ტყეების ინსპექტორი, კრება 4-დღეს გაგრძელდება.

სომხეთის ფინანსთა მინისტრის ახალი ამხანაგი

ცნობილი [illegible] ნავთის მრეწველი მელიქოვი სომხეთის ფინანსთა მინისტრის ამხანაგად დანიშნეს.

სომხეთის საქველმ. საზ-ბის შუამდგომლობა

სომხეთის საქველმოქმედო საზოგადოების საბჭომ მეორედ აღძრა საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა რათა 550 გირვანქა სტერლინგი, რომელსაც სომხეთ. საქართველოს ომის დროს სეკვესტრი დაადგა საქართველოს მთავრობამ, განთავისუფლებულ იქნეს სეკვესტრიდან.

მილიარდერ დ. აბაშიძის ჩამოსვლა

ამერიკიდან ჩამოვიდა ჩვენი თანამემამულე ცნობილი ამერიკელი მილიარდერი დ. აბაშიძე, აბაშიძე ახლა მთავარი დირექტორია ცნობილ ამერიკის ფირმების და ჩამოვიდა საქართველოში ამერიკის მთავრობის დავალებით, რათა საქართველოსთან სავაჭრო დამოკიდებულება გააჩაღოს.

კვირას, მარტის 7-ს, ის მთავრობის თავმჯდომარს წარუდგა.

ბ-ნ. აბაშიძემ რამდენიმე ათეული მილიონი შესწირა გორში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

მეორე ქართული კლუბი.

კვირას, მარტის 7-ს, მოხდა კლუბის წევრთა წლიური კრების გაგრძელება. კრებაზე მიმდინარე საკითხების განხილვის შემდეგ კლუბის მამასახლისთა და სარევიზიო კომისიის არჩევნები მოხდა. მამასახლისთა საბჭოში აირჩიეს: დ. დუმბაძე (ერთხმად) ფარულ კენჭის ყრით: კ. კუტრინი, ა. არდაზიანი, ა. ა. ადამიძე ა. მაჭავარიანი ა. ვენიცკი, ე. სარაჯიშვილი, ინჟ. კაპანაძე, ლ. ჩიტაძე, გ. კაზანაძე და პ. მიმინაიშვილი. კანდიდატებად აირჩიეს: შარკოვსკი, ვუშლაძე და ს. ჰყონია. სარევიზიო კომისიაში: ინჟ. ბარბაქაძე, ნაფეტვარიძე და კორინთელი. წევრების და მათი კანდიდატების არჩევნები მომავალ კვირას მოხდება.

თბილისის აბანოები გორისთვის.

მომავალ კვირა დღეებში: 14-ს 21 ს, 28 მარტს და 4 აპრილს ქალაქის თვითმართველობის ყველა გოგირდის აბანოები იქნებიან ღია დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ამ დღეების წმინდა შემოსავალი გადადებული იქნება გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

თეატრი

დღეს:

სახელმწ. თეატრი. „სინათლე“.

“ტარტო“ დრამა. „მირა ეფროს“.

„დამოუკიდებლობის საღამო“

უჩვეულო სანახაობით გაიშალა კვირას საღამოს, ქართული კლუბის დარბაზები. ქ-ნ გ. [illegible] მიერ გამართული „დამოუკიდებლობის“ საღამო, გორში დაზარალებულთა და საზღვარგარედ მყოფ ქართველ სტუდენტების სასარგებლოთ, ალბათ დიდხანს დარჩება სტუმრების მეხსიერებაში...

ნოხებში დაფლული სათეატრო დარბაზი, ქართველ მხატვრების მიერ მოსწრებული და ლამაზი სურათებით გამშვენიერებული, ოდნავ მიბნედილი, ძირს დაშვებული სინათლის შუქზედ...

მაგიდა მაგიდაზედ მიბჯენილ სივიწროვეში, მცირე შუქზედ ელავენ თვალის მომჭრელი მორთულებანი ქალების, მამაკაცთა ფრაკების რკალში...

მთელი თეატრი აღტაცებული შესცქერის სცენას—აქ ქართველი ქალები ასრულებენ ეროვნებათა ცეკვას... და თუ ვინმეს ოდესმე უჭია სილამაზე და სინაზე ქართველი ქალისა, ამ საღამოსათვის უნდა მიეშართა თავის სიტყვების გასამართლებლად, —ეს იყო საუცხოვო გამოფენა ქართული სილამაზისა, რომელიც მხოლოდ რუსთაველის სიტყვას, ანდა ლეონარდო და-ვინჩის ღვთაებრივ ყალამს თუ მოითხოვდა...

ეკლესიური სიწმინდით გაწესებული მშვენიერება ქნ. მერი შერვაშიძე-ერისთავისა, დამათრობელი რხევა ქნ. გრუზინსკისა, ან საგვარეულო სილამაზე ყველა ჭავჭავაძეთა, მოკრძალებული სინაზე ორივე მაჩაბელისა, აღმოსავლეთის მთელი ვნება გადაშლილი ქ-ნ ციციშვილის დალამებულ თვალებში... რომელი ერთი უნდა არჩიო სადედოფლოთ ამ დღესასწაულზედ? ბავშვები. ბეგთაბეგიშვილის და გვარამაძის. ნუ თუ ესენი ძველ ელლინთა წარმოშობის არ არიან?

ეს ბალეტი ასახიერებს „ჯადოსნურ სიზმარს“ და გინდათ, რომ ამ ჯადოდან თავი ერასოდეს არ დაიხსნათ.

ეშვება ფარდა. აფხიზლებს დარბაზს ყოველთვის მოსწრებული სიტყვის მეფე ისაია დოლუხანოვი და მხიარულებისთვის ეჯიბრება პაოლო იაშვილს.

წამი და იგი სცენიდან ეშვება მთელი წყება ქალიშვილების და ჰაერის ბურთები. ლამის ჩაფლან მთელი თეატრი—ბურთები—გორელთა სასარგებლოდ დარბაზი მრავალ ფერებით იმოსება და ყოველი მაგიდა, ცათ აფრენილი ბურთით ირთვება.

მხიარულება საყოველთაოდ იცავს მთელს ზეიმს...

ქალების ტანთსაცმელები ეჯიბრებიან ერთმანეთს და საუცხოვო სილამაზეთ იშლებიან მომხიბლავ დიასახლისის შესანიშნავ მორთულობით დამშვენებულნი—ქართული სიმხიარულე და აღტაცება მოქცეულია ევროპიული სიდინჯის ჩარჩოში...

ყოველ მომენტს, დამთავრებულ ექსპრომტებში აქანდაკებს პოეტი პაოლო იაშვილი... იგი დღეს განსაკუთრებით შთაგონებულია!

იწყება აუქციონი: 10 ათასი, 20 ათასი...

ოქროს სურა პოეტის ხელში ზევით და ზევით იწევს და აჰა! სამასი ათასი... უკვე იკარგება შეგნება ფულის კასისა.

და ისევ ცეკვა... ხალხი სცილდება მაგიდას და ამერიკულ უან-სტეპში გადადის.. ქნ. თამარ ერისთავისა, ორივე გალიცინისა, ისე ანდრონიკაშვილი...—ცეკვის ღმერთებმა უთუოდ შეუყვარეს ესინი.

და ასე დილამდის... დაუსრულებელი მხიარულება და გულ უხვი შეწირვა არ ღალავს ხალხს... საერთო შემოსავალი, ალბათ მილიონს გადააჭარბებს...

დ.

ქართული სამუსიკო სკოლა.

(მისი უმაღლეს სასწავლებლად გარდაქმნის შესახებ)

ქართველმა ხალხმა დიდი ხანია, რაც თავის მუსიკალური ნიჭი გამოარკვია ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ჩვენ მოწამენი არ ვიქნებოდით, თუ რა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციეს გამოჩენილ რუსთა კომპოზიტორებმა მაგალითად: რუბინშტეინმა, ჩაიკოვსკიმ, გლაზუნოვმა და სხ...

ამუშავებდენ ქართულ სიმღერებს და რუსთა მეცნიერთა საზოგადოებები ალობით ჰბეჭდავდენ ქართულ ხალხურ სიმღერებს.

არამც თუ მარტო რუსეთი აღნიშნავდა ქართველ ხალხის მუსიკალურობას და მის სიმღერების ღირსებას, არამედ სხვებიც, როგორც ვხედავთ დოქტორ ფონ-რიზემანს, უკანასკნელმა დასწერა, მნიშვნელოვან და საუკეთესო ევროპის, გერმანულ ჟურნალში: „Die Musik“-ში რომ ქართული სიმღერები განსაკუთრებითი განძს შეადგენენ მეცნიერების და ხელოვნებისათვის*).

თავის ქება არ შეგვშვენის, მაგრამ მოვალენი ვართ აღვნიშნოთ ცხოვრების ფაქტები, თუ რამდენად ჩვენი ხალხი არის დაჯილდოვებული მუსიკალური ნიჭით.

მართლაც, ვის არ გაუგია გამოჩენილი ხალხური მომღერალი, რომელიც ყველა დაბა-სოფლებში მოიპოვება; ვის არ დამტკბარა მძლავრ და ალერსიან ძველი ხალხურ სიმღერით.

ჩვენი ძველი მომღერალნი მოკლებულნი იყვნენ მასწავლებლებს და მუსიკალურ ხელმძღვანელებს და სწორედ ითქმის, რომ თვით სტიქიამ წარმოშვა ისენი. ამას ვხედავთ სოფლად.

ქალაქში?—განა თქვენ მოწამენი არ ხართ იმისა თუ რა გამოჩენილი დამკვრელნი არიან სხვადასხვა ინსტრუმენტებზე: დუდუკზე, თარზე, ჭიანურზე დოლზე და სხ.. მათი ვირტუოზული ეშხით სავსე და ლამაზი დაკვრა თვალნათლივ ღაღადებს მათ განსაკუთრებით მუსიკალურ ნიჭზე, რომელნიც მოკლებულნი არიან მიიღონ სპეციალური სწავლა-განვითარება, გაიხსენეთ მესტვირე, განა ეს ხალხის წარმოშობილი მუსიკალური ჯგუფი არ არის?!

ნუ თუ მოვპოვება აქ ზემოხსენებულ ჩამოთვლილ ნიჭით დაჯილდოებულ [illegible] პირთ შეადაროთ თავის შესაფერ ხელოვნების ტაძარს, ან თუ საიდანმე დაეროვს სიო მუსიკალურ კულტურის და განათლების მზის სხივი, რომლის შუქის გარშემოსაც უნდა შემოკრბენ ღირსეულნი შვილნი ნამდვილ ხელოვნებისა.

ჩვენმა მუსიკალურ ხელოვნებამ მიაღწია თავის აღორძინებას და აღმსრულებელი ძალა კი არ მოგვეპოვება.

მართალია ქართველებს ცოტა ჰყავს მომზადებული მსახიობნი, სრულებით მოკლებული პედაგოგებს, საორკესტრო მუსიკოსებს და გუნდის მომღერლებს, მცირეა კომპოზიტორები, ლოტბარები და რეგენტები და სრულიად არა ჰყავს მეცნიერები.

ეხლა გეკითხებით, შეიძლება თუ არა ამნაირ პირობებში გაფართოვდეს მუსიკალური ეროვნული ხელოვნება? რა თქმა უნდა არა!

მოყვანილ ფაქტებიდან ცხადად სჩანს რომ მასალა მეტად საინტერესო მოიპოვება, მაგრამ ეს მასალა მოკლებულია თავშესაფარს და თავის ბუნებით ჰყვავილობას.

მე კიდევ მაგალითს მოვიყვან.

ჩვენმა მთავრობამ, რომ განიძრახოს ყველა სასწავლებლებში ასწავლოს მუსიკა,—სიმღერა რაც უკვე გერმანიაში ცხოვრებაში გატარებული, რადგანაც გერმანელები სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას აძლევენ ამ დარგს. საქართველოს მთავრობა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა რადგანაც სრულებით არ მოიპოვება პედაგოგიური ძალა.

კიდევ ერთი მაგალითი: ქართ. სამუსიკო საზოგადოებამ სხვა და სხვა ქალაქებში გახსნა თავის ფილიალური განყოფილებები, რომელნიც დანიშნულებისამებრ ანხორციელებენ თავის ეროვნულ დანიშნულებას; ამ სკოლის დამსრულებელნი სად უნდა წავიდნენ სწავლის გასაგრძელებლად?

ზემო აღნიშნული ფაქტები მიგვითითებენ იმაზედ, რომ დრო არის თვით ქართველ ერმა იზრუნოს თავის თავზედ. დაარსდეს ისეთი უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი, სადაც ყოველი ნიჭი პოვებს თავის შესაფერ ადგილს და ეზიარება წმინდა ხელოვნებას.

მხოლოდ ასეთ დაწესებულებას შეუძლიან შეაგროვოს ეროვნული ძალა—მასალა, მხოლოდ ამისთანა ორგანიზაციას შეუძლიან მისცეს ხალხს, რის ღირსიც არის.

თუ იმასაც მივაქცევთ ყურადღებას, რომ ქართველ საზოგადოების სურვილით და მთავრობის დახმარებით გაიხსნა ეროვნული უნივერსიტეტი, სადაც ხალხი პოვებს თავის დაკმაყოფილებას მეცნიერულ მოთხოვნისას, ჩვენ გვგონია, რომ ხელოვნების დარგშიაც (მუსიკისათვის) უნდა შეიქმნეს ისეთი ცენტრი, სადაც მეორე ნაწილმა—დაიკმაყოფილოს თავის მუსიკალური მოთხოვნილება და უპასუხოს მთავრობას მუსიკალურ კულტურის დაყენებაში.

არსებული კონსერვატორია, რუსეთის მუსიკალურ საზოგადოებისა ვერ შესძლებს შეავსოს ეს ეროვნული ნაკლი, რადგან მას დასახული აქვს სულ სხვა მიზანი, ატარებს თავის საკუთარ პროგრამას, რომელიც თავის შინაარსით არ შეეფარდება საქ. რესპუბლიკის დაწესებულებას.

აი, ჩვენ რა მიზეზით ვხელმძღვანელობთ, რომ საქ. რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს თავის ეროვნული კონსერვატორია, რომელიც უპიროველესად ემსახურება თავის ხალხის ინტერესებს, აღორძინებს მშობლიურ ხელოვნებას, გაანვითარებს ეროვნულ ნიჭს და აამაღლებს ხალხს სულიერად.

ყოვლად შეუძლებელია ასეთი არანორმალური მოვლენა, რომელიც ახლა არსებობს. რუსულ სამუსიკო საზოგადოებას აქვს კონსერვატორია, ინსტიტუტი და თავიანთ მოწაფეებს აძლევენ უმაღლეს სასწავლებლის უფლებებს, ქართული სკოლა-კი საქართველოში სრულიად მოკლებულია ამ უფლებებს.

სწორედ იმისთვის, რომ უფრო მალე მოვახერხოთ ორგანიზაცია უმაღლეს სასწავლებლისა, ამისთვის საჭიროთ მიგვაჩნია ქართ. სამუს. საზ-ბის მუსიკალური სკოლა გარდავქმნათ იურიდიულ უფლებებით და მატერიალურად მოწყობილ ეროვნულ კონსერვატორიად. ეს სასწავლებელი, როგორც ორგანიზაციულად მოწყობილი, არსებული უკვე ათ წელიწადზე მეტი ამტკიცებს თავის ასე თუ ისე სიცოცხლეს და მას სრული უფლება აქვს იქონიოს იმედი, რომ მთავრობაც და საზოგადოებაც დაუჭერს მას მხარს.

ამ სკოლის გარდაქმნა ქართულ ეროვნულ კონსერვატორიად მოხდება თანდათანობით, მაგრამ ეხლავე შეიძლება გაიხსნას უმაღლესი კლასები: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კომპოზიციისა, ლოტბარ—გუნდისა, სიმღერისა, ოპერის კლასისა და სხ.

ყველა ამ კლასებისათვის მასწავლებელნი ნაწილობრივ გვყავს, ნაწილს მოვიწვევთ.

დ. არაყიშვილი.

---

*) იხ. Die Musik, 1906,-7 წ. 13 გვ. 62.

გაზეთ „საქართველო"-ს გასასყიდად
ქუჩებზე გვესაჭიროება მორბედი
ბავშვები
იკითხეთ გაზეთ „საქართველოს" კონტორაში.

II. ბიბლიოგრაფიული ეტიუდები

(„რუს.-ქართ. ტეხნიკ. ლექსიკონი"). (გაგრძელება. იხ. გაზ. „საქ." № 50).

2. ტერმინები: „წიგნარი", „სიტყვარი" სჭრიან ყურს და არ არიან გამოწვეულნი რაიმე საჭიროებით. ბ. ლ. ნათაძის ამ წიგნის ერთად ერთ რეცენზიაში, ჯერ-ჯერობით („ერთობა" 1920, № 28) აღნიშნულია—„სიტყვები"—„სიტყვარის" მაგიერ.

ამ უკანასკნელს (სიტყვარი) განცვიფრებაში მოუყვანია, ჯერ ასოთამწყობი, შემდეგ თვით კორრეკტორიც, ხელნაწერს ვერ მინდობიან და „სიტყვარის" ნაცვლად—„სიტყვები" გამოუსახავთ. აი ფსიხოლოგიური მხარე საკითხისა. „ტეხნიკა"—თარგმნილია „ქმოსნობა"-დ, რაც უარსაყოფია. შემდგენილნი თითონვე არა ერთხელ ხმარობენ—„ტეხნიკურ"-ს, „ტეხნიკური ლექსიკონ-ს და სხ. (იხ. გვ. 96 .. 263).

ამ უკეთესი მაჩვენებელი იმ „ანარქიისა", რომელზედაც ლაპარაკობს თავმჯდომარე სექციისა ბ. ინჟ. ვ. კაკაბაძე. (იხ. „წინას.", გვ. 1.). წიგნის დედა-აზრს თუ მივჰყვევით და დავაბრალებთ ენა (იხ. გვ. 3), როგორ უნდა მოვექცეთ ტერმინებ: „ლოღიკა", „ფსიხოლოგია", „ინტელიგენცია", „კლასი", „სტუდენტი", „პრეზიდენტი" „დემოკრატი", „უნივერსიტეტი", „რესპუბლიკა" და სხ.

„ტერმინი აზრის თუ ცნების შედგენას და შეთვისებას უნდა გვიადვილებდეს" (გვ. 11)), მართალია, მაგრამ ზოგიერთი, დღეს უკვე მიღებული, შეთვისებული სასკოლო თუ სამეცნიერო ხმარებაში (მაგ. ანალიზი, სინტეზი, დიამეტრი და სხ.), უთარგმნელად რომ დარჩეს ამით არაფერი დააკლდება ჩვენს ენას, ხოლო „უჩინ მაჩინი", „ელვასო", „რონინა", „რონდა", „ხახუნის*) წინაღვარი" (коэфф. трения") და სხვათა შემთხვევა ვერაფერს შემატებს ქართულსა, გარდა გაუგებრობისა, გადაჭარბებისა.

ცნება—„Токъ"-ისთვის მშვენიერი ქ. სიტყვა არსებობს—„ჭავლი", (მ) ჭავლი, საკუთრივ струя (электрической силы), ან კიდევ ჩქერი. „დენი" (გვ 31)—უარსაყოფია, „струя"-ს კი საჭიროა ეწოდოს „კამკამი", „ნაკადი".

„Равновеликій"-ს „ერთზომი" უფრო შეეფერება, ვიდრე—„ტოლდიდი", რადგანაც თვით სიტყვა „ტოლი", აღნიშნავს ხშირად სიდიდეს (შეად. ქ. პროვ., ხალხ. „ამ—ტოლი", ამდენი; „რამ—ტოლი"—რამდენი და სხვ.).

ოცობითი თვლის შეცვლა ათობითით არა მგონია გამოწვეული იყოს აუცილებელის საჭიროებით და როდისმე შეითვისოს ქართ. ენამ. ოცდაათის მაგიერ—„სამათი", ორმოცის—„ოთხათი"... ოთხმოცის მაგიერ—„რვაათი" მიუღებელია ენისათვის. დღემდი ქართ. სკოლაში და ბოლოს წლებში მეცნიერებაში დატოვებულია ქართ. ისტორიული აღრიცხვა და შემდეგშიც დარჩება იგი. რენე დეკარტის ენა ნუ თუ უხერხულია მათემატიკისათვის, საიდაც თვლა-აღრიცხვაში ახშირეს დაცულია ქართ. ენის წესი. (სამოცდაათი=soixante-dix, ოთხმოცი=quatre vingts, 90=q.—v. dix და სხვ.)

ალგებრაში—„მატ"., „კლებ" და სხ. შემოღების აუცილებლობა ვერ არის საკმარისად დასაბუთებული (გვ. 45). მათემატიკისა და ალგებრის საკითხები გადასჭრან სპეციალისტებმა ამ დარგისა, მხოლოდ კი საპედაგოგო სამეცნიერო მეთოდის დაცვით.

„Вольтова дуга" თარგმნილია „ელვალის" სახელწოდებით, რაც უკანონოა, პირდაპირ. ვოლტი—გვარია იტალ. ფიზიკოსისა (Alessandro Volta) და, მაშასადამე, მისი სახელი უნდა შედიოდეს სახელწოდებაში („ვოლტის რკალი"), ისევე როგორც ტერმინებში: „ლეიდენის ქილა", „მენდელეევის ჯგუფი" და სხ. ადგილის სახელი სამართლიანად შენახულია სიტყვაში—„гуммиарабикъ"—„არაბეთწებო".

„Ртуть"-ის „ცქრია"-დ თარგმნა არ იყო საჭირო. „ევროპის წაბაძვით"-ო (გვ. 65) ვკითხულობთ და იქვე ვპოულობთ ევროპის მაგალითებს: Quecksilber, l'argent vif (ცოცხ. ვერცხლი), რომლებიც გვარწმუნებენ წინააღმდეგში, ე. ი. რომ ძვ.—ქართ. სახელწოდება „ვერცხ. წყალი" უნდა შენახული იქმნეს (მ. ვარჩხილში წყარი, სხვ. ვარჩხილი ნიც, გამონაკლისია სომხ. „სნდიკ").

ანალიზი—სინტეზის თარგმნა ზედმეტია. ეს ბერძ. ტერმინები შეთვისებულია მრავალ ენის მიერ*) ჩვენს ენაში კი არ არსებობს ისეთი სიტყვა, რომ იგი სავსებით გადმოგვცეს. იოვ. პეტრიწონელი, მართალია, ხმარობს ამ სიტყვებს (აღრევა, ალკაზმვა) თავის ცნობილ თარგმანში ბერძ.-დან, მაგრამ ჯობს ეს ორი სიტყვა შევინახოთ უცვლელად.

ანალიზს ზოგიერთები სთარგმნიან—„გამოწვლილვად" (ნ. მარრი „მეგრ. ენა", „ც. ფ.", 905 №№ 277—73), სინტეზს—„თანდებად" (ი. ავალიშვილი „მათემ. ტერმ.", 917, ქ.), მაგრამ პირველი შემთხვევას სიტყვა გამოსადეგია უფრო ენათ-მეცნიერება—ლიტერ-ს დარგში და არა სპეციალური საგნებისთვის, ხოლო მეორე სრულებით არ შეეფერება სინტეზის დანიშნულებას.

უთარგმნელად უნდა დარჩენილიყო ტერმინებს: ტეხნოლოგია (რადგან, უფრო სამეცნიერო, ვიდრე ქართული „მოქნება"-ს თვისი მარტო სიძველე ვერ მიანიჭებს უპირატესობასა), ტეხნოლოგი (მოქნებილი); ფაბრიკა (სამოქნარო!) და „заводъ"-ს ერთი და იგივე ქ. სახელწოდება შეიძლება მივსცეთ ქარხანა (სპ. კარხ ნამ), რომელიც დამკვიდრებულია ქართ. ენაში უძველეს დროიდან, როგორც სხ. მრავალი სიტყვა აღმოსავლეთის ენებიდან წარმომდგარი (განსაკ. არაბ.-სპარს., მაგ.: ფინჯანი, ოთახი, თარგმანი, თარჯიმანი, სალამი და სხ.).

„Заводъ" და „Фабрика"-ს იგივეობას აღნიშნავენ თვითონ შემდგენნი წიგნისა (გვ 99). სხ შორ., სომხ. ენაშიც, ამ ორ ტერმინს აქვს განუყრელად ერთი და იგივე (სომხ.) სახელწოდება—„გორწარან"-ი.

რა საჭიროა ანტიმონიას (ბერძნ.) ანუ სურმას (იმავე წარმოშ.) „სტამბირი" და „სტამბი"-დ, ვითომ გადაქართულება, როდესაც თვით „სტამბა" (სასტამბო და სხ) ქართ. ენაში დიდი ხნიდანაა გადმოსული (იტ. Stamperia, სტამბა; Stamperia reale სამეფო სტამბა; შდრ. გ. der Stampel—შტემპელი, ბეჭედი, печать).

ვსთარგმნოთ ის, რისი თარგმნაც შესაძლებელია და უცხო სიტყვის ისევ უცხო სიტყვით თარგმნა, მთლად გადაუცხოება, ხელს შეუწყობს უფრო სიბუნდოვანეს, ვიდრე ტერმინოლოგიის გაეროვნებას (იხ. წინა—მაგალითები).

არც ერთი ცოცხალი, კულტურული ენა არ არის ისე დაბრკოლებული, რომ მასში უცხო, სხვა ენიდან, ნასესხი სიტყვები არ ერიოს. ენის ნამეტნად დაუფთავებას თუ მივყვევით ქართულ ენიდან უნდა განვდევნოს, გარდა ზემოჩამოთვლილ აღმოს. სიტყვა, ტერმინები: „შარდევანი" (სპ), „აბრეშუმი", (სპ.), შალი (სპ.), ჭადრაკი (არაბ.), აღლი (იმ. წარმოშ.), ავეჯი (—), საინი (თურქ), დოსტაქარი (სპ) და კიდევ ვინ ჩამოსთვლის, საგაზეთო სტატიაში, რამდენი სხ.. ქართული ენა, პართლა დაბრკოლებული, არასოდეს „დახლსა" და „მედახლის" „კასსა" და „კასსირის" მაგიერ არ შეითვისებს.

დახლი, მედახლე და სხ. უფრო შეეფერებიან შუა-ბაზრულ ტერმინოლოგიას, ვიდრე სატეხნიკოს. („დახლ" არაბ. „შემოსავალი", მოპირდ. ცნ. „ხარჯ"—„გასავალი").

Топоръ-ს როგორ უნდა ეწოდოს ნაჯახი (გვ. 240), ეს უკან. სიტყვაც არაბულია, საიდანაც გადასულა თურქულში, სერბიულში (სლავიან. ენ. შორის, თურქ. საშუალებით) და ქართულში, იმავე წესით.

შენიშვნა წიგნში, 236 გვ., ვერ ვპოულობთ „Сѣкира"-ს, რაც უდრის წალდსა.

ასე თუ მივჰყვებით ვერც карманъ-ს ეწოდება ჯიბე, რადგანაც იგი არაბულია (თურქ., სერბ. ჯებ), ან „подмастерье"-ს—ქვესტატი (200 გ), რადგანაც მეორე ნაწილი ამ სიტყვისა—სპარსულია და სხ.

შენიშვნა. ქვესტატს სჯობია, ჩვ. აზრით, სპ—ლივე „შაგირდი" (სერბ. შეგრტ, (აგრეთვე თურქული)=ხელქვეითი, მოწაფე.

შალვა ბერიძე.

(გაგრძელება იქნება)

---

*) Трение ხახა, სრესა, „კოეფიც. ხეხვა".

*) ფ Aualyse, გ. die Analize, ინგ. Analvsis (=ენელისის).

გორის გარშემო

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის მოწოდება

თავზარდამცემი უბედურება დაატყდა საქართველოს.

ქართლის გული—ქალაქი გორი და ახლო მდებარე სოფლები მიწისძვრამ ნანგრევებად აქცია.

ვისაც თავისი თვალით არ უნახავს მიწისძვრის შედეგი, ვერ წარმოიდგენს ამ უბედურების მთელ საშინელებას.

საუკუნოების შრომითა და ამაგით გაშენებული მიდამოები გავერანდა, არარაობად იქცა.

მიწისძვრისაგან გორის გარდა განადგურდა ორმოცდაშვიდი სოფელი. ქ. გორსა და ოც დაზარალებულ სოფელში სულ ყველა შენობები დანგრეული; დანარჩენ ოცდაშვიდ სოფელში შენობების ნახევარი გადაურჩა დანგრევას. ოთხმოცი ათასი სული დარჩა უბინაოთ. ორასი სული ნანგრევებ ქვეშ დაიმარხა, სამასი—მძიმედ დაშავდა.

ეს რაც გამორკვეულია. ნანგრევების გადათხრისათანავე მსხვერპლის რაოდენობა თან-დათან იზრდება.

ნანგრევებში დამარხულია მცხოვრებთა სარჩო საბადებელი. შინაური საქონელი თითქმის მთლად დაიღუპა. ენით გამოუთქმელია დაზარალებულ მკვიდრთა მდგომარეობა.

გადარჩენილი შინაური პირუტყვი დამფრთხალი და გაფანტულია.

ასეთია დაზარალებულთა ნივთიერი მდგომარეობა.

ხოლო სულიერი ვითარება—უფრო შემძრწუნებელია.

ძალა დაკარგულნი, გრძნობა დაჩლუნგებულნი სასოება-მიხდილნი, ნებისყოფის დამბლა დაცემულნი, თითქმის ყველანი ბავშსავით უილაჯონი არიან.

ყოველი ღონისძიება იქნა მიღებული, რომ დაუყონებლივ დახმარება გაეწიოს დაზარალებულ მკვიდრს. მთავრობამ დაარსა საგანგებო დამხმარე კომიტეტი, რომლის მეოხებითაც უსახლკაროდ დარჩენილთა ერთი ნაწილი გახიზნულ იქნა თბილისს და მიწის ძვრისაგან გადარჩენილ ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში უბედურების ადგილას დარჩენილთა თავშესაფარად დაიდგა კარვები, ყველგან საექიმო რაზმებია დაგზავნილი ხალხს უფასოდ ეძლევა საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი, ხე-ტყე, საამშენებლო მასალა დროებით თავშესაფარის ასაგებად.

დამფუძნებელმა კრებამ გადასდო ოცი მილიონი მანეთი, დაადგინა ხე-ტყე და ყოველგვარი საამშენებლო მასალა, წამალი, ტანისამოსი და სხვა უფასოდ დაეთმოს დაზარალებულთ.

მაგრამ ყოველივე ეს არის მხოლოდ პირველი დახმარება. ეს არის მხოლოდ დიდი ჭრილობის ტკივილის პირველი სალბუნი.

საჭიროა ამ საშინელი იარის სრულიად განკურნება, ქალ. გორისა და მისი განადგურებული სოფლების მკვიდრეთით აღდგენა; იმ ადგილებში კვალად სიცოცხლის ამოძრავება, ნაქალაქევის ქალაქად და ნასოფლარის სოფლად გადაქცევა.

ამის უცილობელი სურვილი აქვს დამფუძნებელ კრებას, მთავრობას,—ამას ჰფიქრობს საქართველოს ერის მთლიანი გული, თვითეული მოქალაქე.

ამისთვის-კი საჭიროა-ძლიერთა-ძლიერ ენერგიის მოკრება.

ამის განხორციელება შეუძლიანთ არა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, არამედ მთელ ხალხს, დიდიან პატარიანად.

ამ უწმინდესი საქმის მონაწილე უნდა გახდეს ყველა, ვის გულამდისაც კი მიაღწევს გორის უბედურების სიმწვავე, ვისაც შეუძ[illegible] ერთი წუთით მაინც თავისი თავი უბედურთა მაგიერ; წარმოიდგინოს გაცრეცილი, შიშველ-ტიტველი ძუძუმწოვარა ბავშვები სუსხიან ზამთრის ანაბარად, იქვე, თოვლზე, მშობიარე დედაკაცები. წარმოიდგინოს ასეთი სურათები ასობით, ათასობით და ათი ათასობით და მხოლოდ მაშინ იგრძნობს იგი, თუ რამდენად ბედნიერია, რომ გადურჩა სტიქიონის მძვინვარებას. ამ ბედნიერების განცდა და ადამიანური გრძნობა ავალებს მას—ბედისაგან განწირული მოძმის მიმართ ისე, ვით შეჰშვენის ჭეშმარიტ მოქალაქეს.

მხოლოდ მთელი ხალხის ერთ განუწყვეტელ ფერხულში ჩაბმას შეუძლიან აღადგინოს ნანგრევებიდან გორი და მისი განადგურებული სოფლები.

და აღმაშენებლობითი ენერგია ქართველი ერისა თავისი ძლიერებით უნდა იყოს სტიქიონური იმ გვარადვე, როგორც თვით გამანადგურებელი ძალა ბუნებისა.

ხალხს ძალუძს მოახდინოს ეს სასწაული; მის წმინდა სურვილს, მის ურყევ ნებისყოფას,—მოქმედების სახით გამოხატულს, შეუძლიან სტიქიონის ძალა მოიპოვოს.

დამფუძნებელი კრება,—ამ რწმენით აღსავსე, მოუწოდებს მთელ ერს და თვითეულ მოქალაქეს კერძოდ.

ქართლის გულის უბედურება ჩასთვალეთ საკუთარ უბედურებათ.

ყველამ—დიდმა თუ პატარამ, გაიღეთ წვლილი დანგრეული მიდამოების აღსადგენად.

არც ერთი დაზარალებული არ უნდა მოსწყდეს თავის ნასახლარს, არც ერთი არ უნდა გადაიქცეს ბოგანოთ.

შეწირულების გაღებაში ქალაქი ქალაქს უნდა ეცილებოდეს, თემი თემს, მოქალაქე მოქალაქეს.

დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ ქართველი ერი თავისი ძალღონის ანაბარად არ დარჩება განადგურებულ ადგილების აღდგენის საქმეში და სხვა ერთა შორისაც ჰპოებს თანაგრძნობას.

დამფ. კრების პრეზიდიუმი.

ფოთის დამხმარე კომიტეტი

მიწის ძვრის დღეებში გორის მაზრაში დაზარალებულთა დასახმარებლად შესდგა ფოთში დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი. კომიტეტის მოწოდებას საზოგადოება დიდი თანაგრძნობით შეხვდა. ყოველი დარგი და ჯგუფი იღებს თავის წვლილს დაზარალებულთა სასარგებლოთ. თვითმართველობამ გადასდო ჯერჯერობით 50,000 მან, ადგილობრივმა კოოპერატივ „ეკონომიამ" გაიღო 75,000 მან. და აგრეთვე დაადგინა. ყოველ გასაყიდ საქონელს ექვსი თვის განმავლობაში დაადოს ორი პროც. დაზარალებულთა სასარგებლოდ. ფოთის პროფესიონალური კავშირების საბჭომ დაადგინა: თვითეულმა მუშამ მოსამსახურემ გადასდოს გორის ფონდის სასარგებლოდ ერთი დღის ჯამაგირი (სამუშაო ქირა).

ფოთის ვაჭარ-მრეწველთა კავშირმა მიიღო თავის თავზედ 75 კაცის რჩენა, თუ ფოთში ჩამოვლენ, თუ არა და გაიღოს ამის მაგიერ შესაფერისი თანხა.

ყველა გასართობებზე დადებულია „გორის ფონდისთვის" განსაზღვრული პროცენტი.

ფოთის გიმნაზიელებმა მოაგროვეს ამავე მიზნით 15.000 მ.

ქალაქის თვითმართველობამ გაუგზავნა გორელებს ორი ვაგონი შეშა, განზრახულია აგრეთვე საღამოს მოწყობა ფონდის გასაძლიერებლად.

№

ბოლშევიზმი და საქართველო

(დასასრული. იხ. გაზ. „საქართველო" № 50.).

9. ბოლშევისტური მოძრაობის მოსალოდნელი შედეგი.

მსოფლიო ისტორიის ტრიალმა თითქოს წინ წამოაყენა რუსის ერი რომ გამოსთქვას მრავალ ერთა პროტესტი ევროპიული კაპიტალის სასტიკი ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

მაგრამ უბედურება იმაშია, რომ რუსის ერს არ აქვს უნარი წინამძღოლის როლი შეასრულოს. ამისათვის მას აკლია ფორმის ან წესის ნიჭი. მუდამ სხვის წინამძღოლობის ქვეშ მყოფი რუსეთი სრულიად მოუმზადებელია გაუწიოს სხვას წინამძღოლობა და კაცობრიობის შელახულ გრძნობათა აზვირთებული ზღვა ჩამიასხას კალაპოტში და მისცეს მას სწორი მიმართულება მიზნის მისაღწევად.

რუსის ეროვნულ აზროვნებაში, რომელსაც პირველად ეზარება ლოკალური ფარგლები, პროტესტი ევროპიულ იმპერიალიზმის წინააღმდეგ იქცა სოციალიზმად, თითქო იმპერიალიზმის უარყოფა უსათუოდ სოციალიზმს გულისხმობდეს. ამას თან დაერთო რუსული ბაქიაობა.

ძველი სლავიანოფილური მესსიანიზმი კვლავ აღსდგა ბოლშევიკურ მოძრაობაში. ლენინი და მისი ამალა წილზე ფეხს იდგამენ, რომ მოსკოვი განახლებული მსოფლიოს ცენტრად გახადონ, საიდანაც უნდა წარმოსდინდეს ახალი მოძღვრება, ახალი სოციალური წესწყობილება „დახავსებული" ევროპის კულტურის შესაცვლელად.

საინტერესოა, რომ რუსულ აზროვნებას ასეთი უკიდურესობა მუდამ სჩვევია: ან თავის-თავს ტალახთან გაასწორებენ მწვავე თვითანალიზით, ან ზეცამდის აიყვანენ და გააღმერთებენ. მეთექვსმეტე საუკუნეში, ახლად განთავისუფლებულმა თათართა მონობიდან, რუსეთის ეროვნულმა აზრმა შეთხზა იდეოლოგია, რომ რუსის ხალხი ერთად ერთი მემკვიდრეა ანტიკური კულტურისა, რომ იყო ორი რომი: ერთი იტალიის რომი, მეორე კონსტანტინეპოლი, მესამე და უკანასკნელი რომი კი არის მოსკოვი, სადაც უნდა დამთავრდეს კულტურული ევოლუცია კაცობრიობისა. სწორედ ამნაირადვე შუა მეცხრამეტე საუკუნეში, რუსულმა ეროვნულმა აზროვნებამ, მას შემდეგ, რაც მან ჩაადაევის სახით ვერაფერი დადებითი მოვლენა ვერ ჰპოვა თავის წინაარსში, უცბად ხომიაკოვის, კირეევსკის და აქსაკოვის პირით განაცხადა რომ რუსის ერი განგების მიერ დანიშნულია შეასრულოს რაღაც უცნაური მისსია: იხსნას კაცობრიობა ევროპის „დამპალი" კულტურიდან.

ეს მესსიანისტური იდეა ჰერცენის საშუალებით გადაეცა შემდეგ რუსეთის ინტელიგენციის მოდგმას ნაროდნიკებს. თანამედროვე ბოლშევიზმში კი ბევრი „ნაროდნიკული" ელემენტია დამალული.

ამნაირად ბოლშევისტური მაქსიმალიზმი არ არის ახალი მოვლენა: ის უღრმესად ახასიათებს რუსის ერს. და სწორედ ამისათვის ჩვენ ადვილად შეგვიძლია გავარკვიოთ ამ მოძრაობის შედეგები.

ბრძოლა სინამდვილესთან მოითხოვს პოზიტიურ ძალებს, რომანტიკოსური აღფრთოვანება მუდამ მარცხდება სინამდვილესთან შეტაკების დროს. ეგევე მოელის რუსულ ბოლშევიზმს. იმის მაგივრად რომ სათანადო ფორმა მიეცა კაცობრიობის ერთი ნაწილის რეალურ უკმაყოფილებისთვის ევროპიელი კულტურის უარყოფითი მხარის მიმართ, ბოლშევიზმმა, როგორც იტყვიან, გადაღუნა ჯოხი მეორე მხარეზე და ლამის კიდეც გადატეხოს.

დღეს დაჩაგრული კაცობრიობას სჭირია, რომ ყოველი ერის უფლება აღიარებულ იქნეს; ყოველი ერი თავისუფალი იყოს უცხო ერის ექსპლოატაციისაგან; ყოველ ერს მიეცეს საშუალება დაუბრკოლებლად განვითარებისა; მოისპოს ძალმომრეობა; მიეცეს პოლიტიკური გარანტიები ეკონომიური ექსპლოატაციისა, ვინაიდან ასეთი გარანტია აბრკოლებს პროგრესს სულ მოძრაობას, ყველა ამის მაგივრად ბოლშევიზმი ქადაგებს მთელი თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსპობას. თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობას სჭირია მხოლოდ შესწორება; ბოლშევიზმი კი მოითხოვს ამ ურთიერთობის სრულს დაშლას. აი ამაშია მისი მაქსიმალიზმი, რომელიც უსათუოდ გახდება მიზეზი ბოლშევისტური მოძრაობის დამარცხების მსოფლიო ისტორიის ფარგლებში. ბოლშევიზმი შეიცავს იმაზე მეტს, რაც შეადგენს კაცობრიობის პროგრესის თანამედროვე მოთხოვნილებას, და ეს შეუფერებლობა, ეს უზომოება ნათელს ყოფს ბოლშევისტური მოძრაობის უნაყოფობას.

ამაოდ ცდილობს ლენინი და მისი ამალა რამოდენიმე საუკუნის წინ ძირს ჩამოვარდნილი და გატეხილი ზარი, რომელსაც რუსები „ცარ-კოლოკოლს" ეძახიან, კვლავ ჩამოკიდოს კრემლის სამრეკლოზე და მისი რეკით შემოიკრიბოს თავის გარშემო ყველა დაჩაგრულ ქვეყნის ერები დასავლეთ ევროპის კულტურის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთი ცდა მიზანს ვერ მიაღწევს: ზარი რომელსაც რეკავს ლენინი გატეხილია და მისი ხმა ძლივ გასცილდება ვორონეჟის გუბერნიას. ამნაირად უნდა წარმოვადგინოთ ბოლშევისტური მოძრაობის შედეგი მსოფლიო ისტორიისათვის: ბოლშევიზმი ვერაფერს ვერ მიაღწევს, რადგანაც ის როგორც წმინდა რუსული მოვლენა, უპროპორციო და დისჰარმონიულია.

ამას თვით ბოლშევიკები მიხვდებიან თანდათან. ადრე თუ გვიან ისინი გარდაიქმნებიან ცხოვრების მოთხოვნილების ზეგავლენით ჩვეულებრივ დემოკრატებათ, და შეუდგებიან რუსეთის მოწყობას პოლიტიკურ დემოკრატიზმის პრინციპზე, რომელიც მათ ასე ეჯავრებოდათ. დიახ, ბოლშევიზმი გახდება რუსეთის წვრილ-ბურჟუაზიული პოლიტიკური მიმართულებათ.

გრანდიოზული ოცნება უნივერსალური გადატრიალებაზე თანდათან გაქრება, და ბოლოსდაბოლოს ბოლშევიზმი დაუბრუნდება იმ „დამპალი" ევროპის ბურჟუაზიულ კულტურას, რომელსაც ის დღეს ბრაზმორეული უარყოფს.

მე მინდა ვთქვა, რომ რუსულ ბოლშევიზმს დაემართება ის, რაც დაემართა ქართულ მენშევიზმს. ქართულმა მენშევიზმმაც ხომ უნივერსალური იდეებიდან დაიწყო „კაცობრიობა", „სოციალიზმი" ხომ ჩვენი მენშევიზმის ფეტიშიც იყო. ერი, კერძო საკუთრება ხომ მათაც სასაცილოდ არ ყოფნიდათ. მაგრამ აბა დახედეთ, რას აკეთებენ დღეს ჩვენი მენშევიკები: იცავენ ქართველ ერის დამოუკიდებლობას და ამტკიცებენ კერძო საკუთრებას. როგორ ამტკიცებენ, ეს სხვა საკითხია: ცოდნაც ხომ კარგი საქონელია, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაინტერესებს ამ შემთხვევაში, მთავარი საქმე მიზანია.

მთელი განსხვავება ბოლშევიზმის ევოლუციისა და მენშევიზმის ევოლუციის შორის მხოლოდ იმაში მდგომარეობს რომ მენშევიზმი უფრო ადრე მივიდა სწორ დასკვნამდის. ბოლშევიზმი კი მივა იმავე დასკვნამდის უფრო გვიან. მორჩა და გათავდა.

ნურავინ იფიქრებს, რომ ქართველმა მენშევიკებმა რუსულ ბოლშევიკებს წინ წაუსწრეს თავის მეტი განათლების და მეტი გამჭრიახობის საშუალებით. არა, აქ საქმე იმაში არის, რომ ჩვენს მენშევიკებს საქმე ჰქონდა უფრო ნიჭიერ, უფრო გონიერ ერთან, ვიდრე ბოლშევიკებს. თვით ხალხმა აიძულა ქართველი მენშევიზმი, ფერი ეცვალა. რუსის ხალხმა კი, მიჩვეულმა რომ მას მუდამ ზევიდან მართავდენ, ვერ გამოიჩინა ასეთი უნარი და ვერ დააკისრა უცბად თავის მმართველს ისეთი პოლიტიკა, რომელიც შეეფერება მის რეალურ ინტერესებს. მაგრამ რაც ვერ მოხდა უცბად, ის მოხდება თან და თან. ამით დავათავოთ. ჩვენ დავახასიათეთ ბოლშევიზმი ქართველი ერის თვალსაზრისით. ბოლშევიზმი ყოფილი რუსული ეროვნული მოძრაობა. როგორც ასეთი ის მთლიანად მიუღებელია ქართველი ერისათვის. ქართული ბოლშევიზმი იქნება contradictio in adiecto. მაგრამ ამ მთლიანს რუსულ ეროვნულ მოძრაობას აქვს თავისი ელემენტები, რომელთა ასი პროცენტიდან, მხოლოდ ერთი პროცენტი ძისალები იქნებოდა, რომ იგი სათანადოთ ყოფილიყო წამოყენებული და გამოხმარებული. დანარჩენი 99 პროცენტი ეწინააღმდეგება ქართულ ეროვნულ შინაარსს.

ხ. ჯარიანი.

რედაქტორი
„სარედაქციო კოლეგია"
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

ვეძებ
2—3 ოთახს
I, II, III ან IV უბანში
ფასს არ დავიშურებ
მაცნობეთ: „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაში გრ. მაჭავარიანს.

სწრაფად იყიდება
ექვს ადგილიანი
ავტომობილი
და
მოტოციკლეტი კოლიასკით.
მიხეილის ქ. № 144. ციკლოშენის მაღაზიაში. 2,939 2—2

სტამბა სამხედრო სამინისტროსი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.